Sex Crimes and the Vatican

სექსუალური კრიმინალი და ვატიკანი

* * *

აშშ-ში კათოლიკურ უნივერსიტეტ „ნოტრ დამთან“ არსებული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი სკოტ ეპელბი, რომელიც კათოლიციზმს სწავლობს, ამბობს, რომ შეწუხებულია, რადგან **მღვდელთა ცალკეული სექსუალური ცოდვები შეიძლება სერიული გახდეს**. მერიკელმა ადვოკატმა, როდერიკ მაკ ლიშმა, რომელმაც სასამართლოზე მღვდელ პედოფილთა 180 მსხვერპლი დაიცვა, ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვა: ***„ეკლესია*** (ე.წ. კათოლიკური – ავტ.) ***არასდროს გახდება უსაფრთხო ნავსაყუდელი ბავშვებისათვის მანამდე, სანამ ძალიან სერიოზულად არ დაფიქრდება პედოფილიის მიზეზებზე.“***

* * *

ოკლაჰომას ყოფილი გუბერნატორი ფრენკ კიტინგი ერთი წლის მუშაობის შემდეგ ეროვნული შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადადგა, რომელიც იძიებდა კათოლიკურ ეკლესიაში სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალებს. გუბერნატორ კიტინგის ხმაურიან გადადგომას წინ უძღოდა მისი ინტერვიუ LA Times-თან, სადაც მან ეკლესიის ზოგიერთი უმაღლესი სასულიერო პირი შეადარა La cosa nostra-ს. საკუთარ განცხადებაში გადადგომის თაობაზე კიტინგი წერდა: “ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი წინააღმდეგობის გაწევა, მცირეწლოვნებზე მოძალადე სამღვდელოების სახელების დამალვა კრიმინალური (დანაშაულებრივი) ორგანიზაციის მოდელი გახლავთ, და არა ჩემი ეკლესიისა.”

* * *

იტალიის პარლამენტის დეპუტატმა, ფრანკო გრილინიმ, განაცხადა: ***„ეჭვი არ არის, რომ კათოლიკ სამღვდელოების რიგებში პედოფილების ასეთი მასობრივი არსებობა გამოწვეულია კლიროსზე თავსმოხვეული ცელიბატით (უქორწინებლობით).“*** ამ აზრს იზიარებს ზოგიერთი კათოლიკე თეოლოგიც. თეოლოგიის პროფესორს, ჯოვანი ფელიჩე მაპელის, მოჰყავს გამოკვლევის შედეგები, რომელთა თანახმადაც, **კათოლიკეთა სამღვდელოების 60%-ს სერიოზული სექსუალური პრობლემები ჰქონდა, მათგან 30% რეგულარულად არღვევდა ცელიბატის აღთქმას, მხოლოდ 10% -ს არ ჰქონდა პრობლემები და იცავდა აღთქმას.**

* * *

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახ. მართლმადიდებელი მრევლის კავშირი
მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

Sex Crimes and the Vatican
სექსუალური კრიმინალი და ვატიკანი

აშშ-ში გაასამართლებენ ვატიკანს პედოფილების გამო

თბილისი
2009

სექსუალური კრიმინალი და ვატიკანი

ცინცინატის სასამართლო განიხილავს ვატიკანს, როგორც პასუხისმგებელ მხარეს პედოფილი მღვდლების საქმესთან დაკავშირებით. ამან შეიძლება შექმნას პრეცედენტი, რომელიც განსასჯელის სკამზე პირველად დასვამს რომის კათოლიკურ ეკლესიას.

შესავალი

2002 წელს აშშ-ში დაიწყო დიდი სკანდალი, რომელმაც გამოამზეურა კათოლიკურ „ეკლესიაში“ არსებული, მისი სწავლების არსით განპირობებული, საუკუნეების განმავლობაში დაფარული და მიჩუმათებული, კათოლიკ-სამღვდელოებაში (ე.წ. პადრეებში) ტოტალურად გავრცელებული პრობლემა – პედოფილია. მსოფლიოს თვალში ფარდა აეხადა უზნეობის ჭაობში ჩაფლულ „ეკლესიის“ მსახურთა უბოროტეს ქმედებებს: მცირეწლოვანთა გაუპატიურების, მათზე სექსუალური და ფიზიკური ძალადობის, მათი გახრწნისა და გარყვნილი ცხოვრების გზაზე დაყენების შემზარავ ფაქტებს. მსოფლიო შეძრწუნებულია და სამართალს ითხოვს. კათოლიკური „ეკლესიის“ იმიჯი დაცემულია, კატასტროფულად იზრდება მის მიმართ უნდობლობა, საზოგადოება უკმაყოფილოა კათოლიკური „ეკლესიის“ მესვეურთა ქმედებებით: მათი ინერტულობით პრობლების მოგვარებასთან დაკავშირებით, მოძალადე მღვდელთა მიმართ შემწყნარებლობითა და მფარველობით. მსოფლიოში ღიად საუბრობენ კათოლიკური „ეკლესიის“ კრიზისზე, ვატიკანი კი მილიარდებს იხდის, რომ დანაშაულობათა განხილვა სასამართლომდე არ მივიდეს, რომ მისი მოძალადე, პედოფილი „მღვდლები“ განსასჯელის სკამზე არ დასხდნენ.

ან კი რა შეუძლია ვატიკანს? ბოროტება ხომ მომდინარეობს კათოლიკური „ეკლესიის“ მწვალებლური არსიდან: ჭეშმარიტი ეკლესიის დოგმატის უარყოფიდან და მის ნაცვლად მწვალებლური დოგმატის, ე.წ. „ფილუოკვეს“ მიღებიდან, პაპის გაღმერთებიდან და მისი „უცდომელობის“ დოგმატით აღჭურვიდან, „უცდომელი“ პაპების მიერ მიღებული „უცდომელი“ კანონებდან, მათ შორის ე.წ. ცელიბატის, ანუ კათოლიკ-მღვდელთა უქორწინებლობის აღთქმიდან. როგორ შეცვალოს ახალმა „უცდომელმა“ პაპმა თავისი „უცდომელი“ წინამორბედების მიერ დადგენილი „უცდომელი“

კანონები? მაშინ როგორღა იქნებიან პაპები „უცდომელნი“? და თუ ისინი „უცდომელნი“ არ არიან, მაშ როგორღა იქნება პაპი ღმრთის ნაცვალი დედამიწაზე და რითღა გაამართლებენ თვითმარქვია კათოლიკები ქრისტეს ნაცვლად თავიანთი „ეკლესიის“ თავად პაპის გამოცხადებას?

მსოფლიო, სამწუხაროდ, ამ კუთხით არ განიხილავს კათოლიკური „ეკლესიის“ ბუნებას, ვერ ხვდება მისი მანკიერების საფუძველს, მაგრამ ხედავს მის ბოროტებასა და უზნეობას. მსოფლიოს უნდა, რომ მცირეწლოვანი ბიჭები და გოგონები დაიცვას მოძალადე, პედოფილ პადრეთაგან, მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ჯერჯერობით ეს მცდელობა წარუმატებელია.

ქვემოთ თითქმის უკომენტაროდ გთავაზობთ ცნობებსა და ფაქტებს ინტერნეტ-საიტებიდან, მათ შორის მსოფლიოში ცნობილი სააგენტოების მიერ გავრცელებული მასალებიდან, როგორებიცაა ტელკომპანიები, ჟურნალ-გაზეთები,სააგენტოები: BBC, ABC, The Times, New York Times, Associated Press, Osservatore Romano (ვატიკანის გაზეთი), Wall street Journal, Boston Sunday Globs, Deutsche Welle, NEWSru, ROL და ა.შ. ასევე მითითებულია საიტის მისამართები და პუბლიკაციათა თარიღები. მოყვანილი ფაქტები არ არის ქრონოლოგიურად დალაგებული, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ გამოიწვევს რაიმე გაუგებრობას.

ჩვენ არ ვამბობთ, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში უზნეო სასულიერო პირები არ გვხვდებიან. მაგრამ ისეთი ენით აუწერელი ბოროტება, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ და როგორიც პედოფილიაა, არ წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის პრობლემას. მეტიც, საქართველოს სინამდვილეში სამღვდელოების მხრიდან პედოფილური ძალადობის შემთხვევები არ არის ცნობილი (თუმცა ეკლესიის მტრები, ალბათ, შეეცდებიან შეთითხნონ ცრუ ისტორიები). და თუ მაინც ვსაუბრობთ უზნეობაზე მართლმადიდებელ ეკლესიაში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ კათოლიკური ეკლესიისგან განსხვავებით, იგი არ არის ტოტალური და არ მომდინარეობს თავად ეკლესიის არსიდან, მისი სწავლებიდან და კანონებიდან, და ატარებს პირადული ცოდვის ხასიათს. მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც საგანგაშოდ ვთვლით მართლმადიდებელ ეკლესიაში უზნეო სამღვდელოების არსებობას, მიუხედავად იმისა რომ ასეთები ერთეულებია, მაშინ როდესაც კათოლიურ ეკლესიაში მარტო პედოფილ-მღვდელთა რაოდენობა მრავალი ათასია. საგანგაშოა იმიტომ, რომ მოციქულებრივი სწავლების სინათლით განათებულ, სულიერად ჯანსაღ და მარად უჭკნობ სხეულზე რამდენიმე მუწუკის ხილვა უფრო აუტანელია, ვიდრე მწვალებლობაში და შაუსაუკუნოებრივ

სბნელეში დანთქმულ, დაძაბუნებულ და ხრწნად სულიერ სხეულზე ჩირქისა და ბალღამის ხილვა.

სექსუალური ძალადობების, პედოფილიის პრობლემა კი თავად კათოლიკური „ეკლესიის“ ბუნებაში დევს. ამის შესახებ თვით კათოლიკე მეცნიერები, მოღვაწეები და რიგითი ადამიანები საუბრობენ. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა ცინცინატის საოლქო სააპელაციო სასამართლომ თავად ვატიკანის, როგორც პასუხისმგებლის, დასმა სასამართლო სკამზე. ყველაზე სავალალო ის არის და ის აღაშფოთებს საზოგადოებას, რომ კათოლიკური ეკლესიის ხელისუფლებამ (როგორც ცენტრალურმა, ვატიკანში, ისე ადგილებზე) ყველა დროში კარგად იცოდა სექსუალური ძალადობებისა და თავისი პედოფილი სამღვდელოების შესახებ, მაგრამ, სანამ დიდი სკანდალი და ხმაური არ ატყდა საზოგადოებაში, მანამდე არაფერს აკეთებდა პრობლემის მოსაგვარებლად. პირიქით, როგორც ქვემოთ მოყვანილი წყაროებიდან დასტურდება, იწყნარებდა და იფარავდა თავის მოძალადე მღვდლებს. სკანდალის ატეხის შემდეგ კი ინებეს და დაზარალებულებს ბოდიში მოუხადეს თავად პაპებმა, იოანე პავლე II-მ და ბენედიქტე XVI-მ, ჯიბეზეც გაიკრეს ხელი და მილიარდობით დოლარი გადაიხადეს კომპენსაციის სახით, მაგრამ დაზარალებულები და საზოგადოება უკმაყოფილონი არიან, რადგან ვატიკანის მხრიდან კვლავ იგრძნობა მცდელობა იმისა, რომ ამბავი მიჩუმათდეს, საქმე სასამართლომდე არ მივიდეს, არ მოხდეს მიზეზების ძიება და აღმოფხვრა.

ქვემოთ ასევე წარმოგიდგენთ მასალას ზოგიერთი პაპის გარყვნილი ცხოვრების შესახებ. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთაგან არავინ ყოფილა ცოდვილი, მაგრამ მათი ცოდვები პირადული იყო და არ გამომდინარეობდა ეკლესიის რაობიდან, არსიდან. კათოლიკურმა ეკლესიამ კი მიიღო დოგმატი პაპის „უცდომელობის“ შესახებ. თავად მკითხველმა განსაზღვროს, რამდენად უცდომელ-უცოდველი იყო რომის ზოგიერთი პაპი.

ამ მასალის ქართული საზოგადოების წინაშე გამოტანის მეორე ძირითადი მოტივი ის არის, რომ ვატიკანი თავისი ემისრებისა და პადრეების მეშვეობით გულმოდგინედ ცდილობს თავისი მწვალებლური სწავლება საქართველოში გაავრცელოს. ამისთვის მან საქართველოში „ნეომისიონერები“ მოავლინა, რომლებიც, თავიანთი წინამორბედების მსგავსად, არ ერიდებიან აგრესიულ პროზელიტიზმს, სიცრუესა და მზაკვრობას. რა თქმა უნდა,

მწვალებლურ სწავლებასთან ერთად ისინი საქართველოში თავიანთ უზნეო ცხოვრების წესს, მათ შორის პედოფილიასაც, გაავრცელებენ.

თანამემამულენო, გაფრთხილდით. თუკი რომელიმე ჩვენი მოქალაქეთაგანი ეკლესიოლოგიურ საკითხებში ვერ ერკვევა და მკაფიოდ ვერ ასხვავებს ერთმანეთისაგან ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ და მწვალებლურ კათოლიკურ (სიმანდვილეში პაპისტურ) სწავლებებს, ხიბლავს გარეგნული ბრჭყვიალება ევროპეიზმისა, იქნება პაპისტ ლათინთა უზნეობამ მაინც დააფიქროს, გულისხმაჰყოს და იგრძნოს საფრთხე, რომელიც გარყვნილებით ემუქრება ჩვენს ხალხს, ჩვენს შვილებს. იქნებ ამაზეც დავფიქრდეთ, როდესაც ვისმენთ და ვიჯერებთ სიცრუით გაჯერებულ ისტორიებს ძველ და ახალ კათოლიკ-მისიონერთა „სიკეთესა“ და განათლებულობაზე, ცივილიზაციასა და დასავლურ ღირებულებებზე? მათ განათლებულობაში ხომ გაცილებით მეტი სიბნელეა, ვიდრე ჩვენი რომელიმე მიყრუებული სოფლის ნებისმიერ გაუნათლებელ გლეხში. ანდა ვისგან გვესწავლება განათლებულობა და წყურვილი სწავლისა და შეცნობისა? კი ცდილობენ ჩვენს დაბეჩავებასა და უმეცრების ჭაობში ჩაძირვას, მაგრამ ჯერჯერობით ხომ ისევ ანათებს ჩვენს სულებში სახარება და წმიდა მამათა სწავლებები, ჩვენს გონებას ასაზრდოებენ შოთა, ილია, აკაკი და მსოფლიოს ის დიდებული მოაზროვნეები, რომლებიც სიკეთეს ემსახურებიან და არა – ბოროტებას, რომლებიც ჭეშმარიტებას ეძიებენ და არ გვაბრმავებენ ხელოვნური ინტელექტუალიზმით, მოდერნისტული მოძღვრებებითა და თეორიებით, რომლებიც განკუთვნილია სნობების, „პიჟონებისა“ და ქარაფშუტა „მოაზროვნეთათვის“, თავს რომ იწონებენ უცხოური დიპლომებით, სერთიფიკატებითა და პრემიებით. სწორედ მათ შესახებ თქვა ჩვენმა წმ. ეპისკოპოსმა, გაბრიელ ქიქოძემ: ***„ზოგიერთნი საცოდავნი და საბრალონი ჩვენი ყმაწვილნი, როდესაც უცხო ქვეყნებში წავლენ, იმას კი არ უყურებენ და სწავლობენ, რაც არის იქ პატიოსანი და ღირსი ქებისა და ბაძვისა, არამედ გაისვრებიან იქაურსა ნეხვსა შინა და აქაც იმას მოგვიტანენ, თითქოს ჩვენში ეს მასალა ნაკლები იყოს.“*** ეს ფუნაგორია ხალხი აცდუნებს ხალხს და ბილწავს საქართველოს.

ჩვენ მართლმადიდებელი ეკლესია მოგვიწოდებს, არ გავექცეთ მწვალებლებთან დიალოგს. მაგრამ დიალოგი უნდა იყოს არა გარიგება, დიპლომატია თუ პოლიტიკანობა, არამედ მწვალებელთა მხილება მწვალებლობაში. ამის მაგალითი ჩვენმა უწმინდესმა მოგვცა, – როდესაც იგი შეხვდა რომის პაპს, იოანე პავლე მეორეს, საუბრისას ჰკითხა მას:

გქონდათ კი თქვენ უფლება, რომ შეცვალეთ პირველი და მეორე მსოფლიო კრებების დადგენილებებიო? რომის პაპმა უპასუხა, რომ არა, არ გვქონდაო. მაშ, რატომ შეცვალეთ ისინიო, ჰკითხა ჩვენმა პატრიარქმა, რაზეც რომის პაპმა დუმილით უპასუხა. ანდა მხილებულს რა უნდა ეპასუხა ეკლესიოლოგიური თავლსაზრისით ოდნავ აზრიანი? უწმინდესი დიალოგის აუცილებლობაზე მოგვიწოდებს იმის გამოც, რამ მწვალებლებმა არ იფიქრონ, თითქოს ჩვენ მათ ცრუ სწავლებასთან და ქმედებებთან დაკავშირებით არაფერი გვქონდეს მათთვის სათქმელი. მარლმადიდებლობა გვავალდებულებს, რომ მხილება იყოს არა სიძულვილიანი და ნიშნისმომგებიანი, არამედ სიყვარულიანი და კეთილმოსურნეობიანი, წუხილიანი მათი მწვალებლობური ცდომილებისა და სულის წარწყმედის საფრთხის გამო. ღმერთმა შეგვაძლებინოს.

წინამდებარე წერილის ბოლოში გთავაზობთ მოკლე ამონარიდს ჩვენი ერთ-ერთი მიმართვიდან, რომელიც მოკლედ შეეხება პაპისტების ისტორიულ მოღვაწეობას საქართველოში. უფრო ვრცელ მასალას სხვადასხვა წყაროებში იპოვით,მათ შორის ჩვენს საიტზეც: religia.ge.

მაშ, ასე, გთავაზობთ შეპირებულ მასალას.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატები შეძრა ცნობებმა კათოლიკე-სამღვდელოების პედოფილიისა და სექსუალური ძალადობების შესახებ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საინფორმაციო საშუალებებმა დღის სინათლეზე გამოიტანეს სკანდალური ცნობები აშშ-ს ერთ-ერთი უდიდესი ეპარქიის, ბოსტონის კათედრის, „სამღვდელოების“ სექსუალური ძალადობებისა და პედოფილიის შესახებ.

საპროტესტო აქცია პედოფილიის წინააღმდეგ. პლაკატებზე წერია: „სირცხვილი“; „შევარცხვინეთ კათოლიკები“

* * *

2002 წელს გაზეთმა „Boston Sunday Globs“-მა მამხილებელი მასალების სერია გამოაქვეყნა. ამის შემდეგ აშშ შეძრული იყო თითქმის ყოველდღიური წერილებით კათოლიკე პედოფილ მღვდლებთან დაკავშირებული

სკანდალების შესახებ. ამერიკელებს განსაკუთრებით დაამახსოვრდათ ბოსტონის კარდინალ ბერნარდ ლოუსთან (Bernard Law) დაკავშირებული სკანდალი. გახმაურდა მანამდე უცნობი მრავალი ფაქტი და საზოგადოებას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ბოსტონის კათედრის კათოლიკე კლირიკოსები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თუ რომელი უფრო მეტი ხელოვნებით ჩაიდენდა სექსუალურ ძალადობას. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი აცდუნებდა გოგონებს, არწმუნებდა მათ, რომ ის არის იესო ქრისტეს ცოცხალი განსახიერება. მეორე განმხრწნელი კათოლიკე მღვდელი ინტიმური სიახლოვის მიღწევას ბიჭუნებთან კოკაინის საშუალებით ცდილობდა. აღმოჩნდა, რომ ბოსტონის კათედრის ხელმძღვანელობა თვალს ხუჭავდა ანაფორიანი პედოფილების საქციელზე. მეტიც, მრავალი მათგანი დააწინაურეს კიდეც, რის გამოც საზოგადოება ალაპარაკდა იმაზე, რომ ბოსტონის კათედრაზე „გარყვნილთა და უკუღმართთა მაფია“ ჩამოყალიბდა. მარტო ბოსტონში მრევლის 450-ზე მეტმა წევრმა განაცხადა, რომ ისინი გააუპატიურეს ან აცდუნეს ადგილობრივმა კათოლიკე მღვდლებმა. BBC–ის ცნობით, სკანდალი, რომელშიც ფიგურირებს აშშ-ში ყველაზე დიდი და მდიდარი კათოლიკური თემის ხელმძღვანელობა, ამ საკრებულოს უკვე 1 მილიარდი დოლარი დაუჯდა, რამაც შეიძლება ბოსტონის ეპარქიის ფინანსური კატასტროფა გამოიწვიოს. იგივე ემუქრება კალიფორნიისა და სხვა კათედრებს.

ამერიკელი კოლეგების მონაცემებით, როგორც მინიმუმ, ყოველი მე-8 კათოლიკე მღვდელი აშშ-ში პედოფილია. 2008 წლისათვის გარყვნილი ანაფორიანი კათოლიკეს მსხვერპლთათვის კათოლიკურმა ეკლესიამ კომპენსაციის სახით 3 მილიარდამდე დოლარი გადაიხადა.



იტალიაში გამოვიდა ტელეკომპანია BBC-ის დოკუმენტური ფილმი „Sex Crimes and the Vatikan" („სექსუალური დანაშაულობანი და ვატიკანი"), რომელმაც კვლავ დაგვაბრუნა ძველ პრობლემასთან.

სკანდალი 24 წლის გრეგ ფორდის აღიარებით დაიწყო. მან განაცხადა, რომ ექვსი წლის ასაკში იგი მღვდელმა პოლ შენლიმ გააუპატიურა: ***„მე ვიცი, რომ შენლიმ თავისი „სასულიერო მოძღვრობის" 30 წლის განმავლობაში ასობით ბავშვი გააუპატიურა და გარყვნა"***. ფორდის მამა თვლის, რომ დამნაშავის სკამზე კარდინალი ლოუ უნდა დაჯდეს. ის მრავალი წლის განმავლობაში მღვდლის სექსუალურ დანაშაულობებს ფარავდა. კარდინალი ეგუებოდა იმას, რომ პოლ შენლი ბიჭუნებთან მამაკაცების სექსუალურ თანაცხოვრებას ღიად უწევდა პროპაგანდას. ბოსტონში მხილებამ მთელ ქვეყანაში ჯაჭვური რეაქცია გამოიწვია. სხვადასხვა შტატებიდან წამოვიდა ცნობები მღვდელთა პედოფილიის შესახებ. ოჰაიოში 48 წლის მღვდელმა დონ რუნიმ ამის გამო თავი მოიკლა. მღვდელთა პედოფილიის შესახებ მათი მსხვერპლნი უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ წლების მერე ბედავენ აშკარად ლაპარაკს, როცა დიდები ხდებიან. დაზარალებული ბავშვები და მათი მშობლები, როგორც წესი, არაფერს ამბობენ.

პედოფილი პადრე

გამოირკვა, რომ კათოლიკური ეკლესია დუმილისათვის ძალიან დიდ ფულს იხდის. როგორც გაზეთი New York Times-ი წერს, ნიუ-ჯერსის შტატში, სადაც მღვდელმა ბიჭუნა გააუპატიურა, ბიჭუნას ოჯახს, ხმაური რომ არ აეტეხა, 800 ათასი დოლარი გადაუხადეს. სექსუალურ სკანდალთან დაკავშირებით კაპელანმა ტომ ლინკოლნმა აღნიშნა: ***„შუასაუკუნეების*** (ე.წ. კათოლიკურ - ავტ.) ***ეკლესიაში გარყვნილებამ პროტესტანტობა წარმოშვა. რით დამთავრდება ამჟამინდელი სკანდალი ამერიკულ ეკლესიაში, მხოლოდ ღმერთმა იცის."***

ბოსტონის სკანდალში 80 მღვდელმსახური იყო გახვეული. მაგრამ ის, რაც 40 წლის წინ უპირობო ბოროტმოქმედებად და ცოდვად შეფასდა,

ახლა, როგორც ჩანს, თეოლოგიური დისკუსიებისა და შორსმიმავალი დასკვნების საგანი ხდება. მრევლის მხრიდან ნდობის ნამდვილი კრიზისი, რომელსაც ახლა ამერიკის კათოლიკური ეკლესია განიცდის, გამოწვეულია ეკლესიის მაღალჩინოსნების დუმილით. ისინი არა მხოლოდ მალავდნენ პედოფილიისა და ძალადობის მათთვის ცნობილ შემთხვევებს, არამედ შეგნებულად მფარველობდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, ცდილობდნენ, პასუხისგება აერიდებინათ მათთვის. ხოლო როდესაც მათ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სასამართლო ემუქრებოდათ, დარტყმის საშიშროებიდან იცავდნენ მათ. დიდი ხანია ცნობილია, რომ ჩრდილოეთ ამერიკის კათოლიკური მაღალჩინოსნობა შეიკრა მძლავრ ორგანიზაციად, რომელიც თავის კორპორატიულ ინტერესებს ღიად აყენებს ქრისტიანულ სიყვარულსა და მორჩილებაზე მაღლა. ასე მაგალითად, პედოფილი მღვდლების მსხვერპლთათვის მიყენებული ზარალის დასაფარავად ამერიკის კათოლიკურმა ეკლესიამ საიდუმლოდ გადაიხადა კომპენსაცია მილიარდი დოლარის ოდენობით. ამას გარდა, მრავალია შემთხვევა, როდესაც კარდინალები და ეპისკოპოსები გამართლებისა და დამამშვიდებელ წერილებს სწერდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს, რომლებიც მხილებულნი იყვნენ გარყვნილებაში, მაგრამ არავის სმენია, რომ იმავე იერარქებს მსგავსი სიტყვებით

მიემართოთ გარყვნილი ქმედებების მსხვერპლთათვის. ამერიკელ კარდინალებს თავიანთი პოზიციების გამაგრების სურვილი აქვთ. ცნობილია, რომ ისინი აპირებენ პონტიფიკის წინაშე დააყენონ ისეთი საკითხები, როგორებიცაა

ცელიბატის გაუქმება და სამღვდელოების შევსება ქალებითა და ისეთი ადამიანებით, რომლებიც ღიად აღიარებენ თავიანთ ჰომოსექსუალობას. http://lenta.ru/articles/2002/04/19/schism/ ,.http://warrax.net/50/pedopriests.html. 2002 წ. აპრილი. თემასთან დაკავშირებით იხილე:
Vatican Meeting on Abuse Issue Is Set to Confront Thorny Topics - New York Times, 19.04.2002,
The Pope Steps In: Can he save the American church from the sex-abuse scandal? - Wall Street Journal, 19.04.2002 .

1940 წლიდან მოყოლებული ბოსტონელი მღვდლების სექსუალური ძლადობის მსხვერპლთა რიცხვი 1000-ზე მეტს შეადგენს, – იუწყება „Associated Press"–ი მასაჩუსეტის შტატის გენერალური პროკურორის, ტომ რეილის, ცნობებზე დაყრდნობით. შტატის პროკურატურა უკვე 16 თვეა საქმეს იძიებს. ტომ რეილის სიტყვებით, გარყვნილი ქმედებები ეპარქიის ტერიტორიაზე „ჩვეულებრივ პრაქტიკას" წარმოადგენდა. ამის მიუხედავად შტატის პროკურატურა ბრალდებების წამოყენებას ჯერ ვერ ბედავდა, ვინაიდან შტატში ჯერ არ იყო მიღებული კანონმდებლობა ამ სახის დანაშაულობის შესახებ. მრევლმა, როდესაც შეიტყო, რომ მათზე მოძალადენი

შეიძლება დაუსჯელები დარჩენილიყვნენ, პროკურატურის წინ დემონსტრაცია მოაწყო. რამდენიმე ხნის წინ საზოგადოებრივი ზეწოლის შედეგად შტატის ხელისუფლება იძულებული გახდა მიეღო ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კანონი. ამჟამად შტატის სასამართლოში 500-მდე საქმეა ეპარქიის წინააღმდეგ. ეკლესიის წარმომადგენლებმა რამდენიმეჯერ განაცხადეს თავიანთი სურვილი, რომ დავები სასამარლოს გარეშე გადაწყვეტილიყო. ტომ რეილიმ განაცხადა, რომ მოძალადე მღვდლებს ჯერ კიდევ უპყრიათ ძალაუფლება და შეუძლიათ ეს მდგომარეობა კვლავ გამოიყენონ არასრულწლოვანებზე ახალი ძალადობისათვის. 24.06.2004
http://www.rol.ru/news/misc/crime/03/07/24_001.htm

აშშ-ში მოძალადეთა სიაში პირველი ბოსტონელი მღვდელი ჯონ ჯოგანია, რომელსაც ბრალი ედება სულ მცირე 86 ადამიანის გარყვნაში. 1991 წელს მან ქალაქის საცურაო აუზში 10 წლის ბიჭი გააუპატიურა, მაგრამ სასამართლოში მისი დადანაშაულება მხოლოდ 1998 წელს მოხერხდა.

სასამართლო გარჩევის დროს გაირკვა, რომ კარდინალმა ბერნარდ ლოუმ და ბოსტონის ეპარქიის სხვა მაღალჩინოსნებმა იცოდნენ ჯოგანის მიდრეკილების შესახებ, მაგრამ არაფერი იღონეს, გარდა იმისა, რომ იგი ერთი სამრევლოდან მეორეში გადაჰყავდათ. ბოსტონელმა ადვოკატებმა, ჯეფრი ნიუმანმა და როდერიკ მაკ-ლიშმა, გაზეთ „Boston Sunday Globs”-ს აცნობეს, რომ უკანასკნელი 3 თვის მანძილზე მათ დაზარალებულთაგან 200 განცხადება მიიღეს. ჯოგანს 10 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მან ციხეში მხოლოდ ერთი წელი დაყო. პედოფილი მღვდელი მისმა საკნის მეზობელმა მოკლა. მხოლოდ ჯოგანის მსხვერპლთა კომპენსაციებისათვის ბოსტონის კათედრამ 2003 წელს 85 მილიონი დოლარი გადაიხადა.

2002 წელს ტელეკომპანია ABC-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, აშშ-ში კათოლიკეთა 71% კათოლიკე სამღვდელოების პედოფილიის პრობლემას „ეკლესიის კრიზისად“ მიიჩნევს. გამოკითხულთა 36% აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კათოლიკე ეკლესიის ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. კათოლიკური ეკლესიით უკმაყოფილოთა რიცხვი ერთ თვეში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ეს არის რეაქცია კათოლიკე მღვდელ პედოფილებთან დაკავშირებულ სკანდალებზე და კათოლიკური ეკლესიის ხელისუფალთა საქციელზე. ეს ხელისუფალნი კი ხელმძღვანელობენ ვატიკანის ინსტრუქციებით, რომლებიც მათ უკრძალავს „ქოხიდან ნაგვის გატანას“. (http://temodnya.ru/

პაპი იოანე პავლე II შეწუხებულია იმით, რომ საკმაოდ ბევრი მღვდელი აცდუნებს ბავშვებს, მით უმეტეს, რომ ეს მოვლენა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ შეერთებული შტატებისთვის. ანალოგიური შემთხვევები დაფიქსირდა იტალიაშიც, პოლონეთშიც, ავსტრიაშიც, ავსტრალიაშიც, სხვა ქვეყნებშიც. რა თქმა უნდა, მხოლოდ გამომზეურება ისეთი დიდი ცოდვისა, როგორიც პედოფილიაა, ვერ წყვეტს პრობლემას, რადგან უნდა ვეძიოთ



ბოროტების ფესვები. სად ვეძებოთ ისინი? ცალკეული ადამიანების მიდრეკილებებში? მათ უუნარობაში, გულმოდგინე ლოცვით გაუძლონ დემონურ ცდუნებებს? კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურების უცოდინარობაში, წარმართონ ადამინებთან შესაბამისი სამრევლო და აღმზრდელობითი მუშაობა? თუ მიზეზი უფრო ღრმად დევს, სექსუალობის, უბიწოებისა და ოჯახური ცხოვრების შესახებ კათოლიკური სწავლების საფუძველში? აი, რას ამბობენ ამის შესახებ თავად კათოლიკები, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით განგაშს ტეხენ. აშშ-ში კათოლიკურ უნივერსიტეტ „ნოტრ დამთან“ არსებული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი სკოტ ეპელბი, რომელიც კათოლიციზმს სწავლობს, ამბობს, რომ შეწუხებულია, რადგან **მღვდელთა ცალკეული სექსუალური ცოდვები შეიძლება სერიული გახდეს**. ამერიკელმა ადვოკატმა, როდერიკ მაკ ლიშმა, რომელმაც სასამართლოზე მღვდელ პედოფილთა 180 მსხვერპლი დაიცვა, ეს აზრი კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვა: ***„ეკლესია*** (კათოლიკური – ავტ.) ***არასდროს გახდება უსაფრთხო ნავსაყუდელი ბავშვებისათვის მანამდე, სანამ ძალიან სერიოზულად არ დაფიქრდება პედოფილიის მიზეზებზე.“***

მრავალი მიმომხილველი არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს მოვლენა ცალკეული ადამიანების ცოდვისკენ მიდრეკილების შედეგია. იტალიის პარლამენტის დეპუტატმა, ფრანკო გრილინიმ, განაცხადა: ***„ეჭვი არ არის, რომ კათოლიკ სამღვდელოების რიგებში პედოფილების ასეთი მასობრივი არსებობა გამოწვეულია კლიროსზე თავსმოხვეული ცელიბატით (უქორწინებლობით).“*** ამ აზრს იზიარებს ზოგიერთი კათოლიკე თეოლოგიც. თეოლოგიის პროფესორს, ჯოვანი ფელიჩე მაპელის, მოჰყავს გამოკვლევის შედეგები, რომელთა თანახმადაც, **კათოლიკეთა სამღვდელოების 60%-ს სერიოზული სექსუალური პრობლემები ჰქონდა, მათგან 30% რეგულარულად არღვევდა ცელიბატის აღთქმას, მხოლოდ 10% -ს არ ჰქონდა პრობლემები და იცავდა აღთქმას.** კათოლიკურ ეკლესიაში მღვდლებისთვის მოქმედებს უქორწინებლობის აღთქმა – ცელიბატი. ეს კანონი არ ეყრდნობა რაიმე დოგმატურ ნორმას და პაპ გრიგორი VII-ის დროიდან მოქმედებს, რომელმაც XI საუკუნეში ცელიბატი კათოლიკური ეკლესიის ცენტრალიზებისა და მისი საერო საზოგადოებასთან დაპირისპირების მიზნით შემოიტანა. ვატიკანი თვალს ხუჭვს მომხდარზე.

იგი ჩიხშია მოქცეული, რადგან ცელიბატის უარყოფა შექმნის პრეცედენტს სხვა ცვლილებებისათვის. ასე, მაგალითად, აშშ-ში აქტიურად უწევენ ლობირებას ქალი მღვდლის საკითხს. http://religion.ng.ru/society/2003-04-16/4_problem.html

როგორც გაზეთი „The Times" იუწყება, რომში არჩიეს, რომ კათოლიკური ეკლესიის კრიზისი სუფთა ამერიკულ პრობლემად მიეჩნიათ. მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ პაპმა, იოანე პავლე II-მ პედოფილიასთან დაკავშირებით ვატიკანში კათოლიკური ეკლესიის კარდინალების საგანგებო შეკრება მოიწვია, ცხადია, რომ ვატიკანმა შეიგნო, კრიზისი არა მხოლოდ ამერიკული, არამედ საყოველთაოა და სკანდალს მისთვისაც შეიძლება სერიოზული შედეგები მოჰყვეს. **უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მღვდლად გახდომის მსურველთა რიცხვი კათოლიკურ ეკლესიაში 18 ათასიდან 3,5 ათასამდე დავიდა,** ხოლო მსახურთა საშუალო ასაკმა 62 წელს მიაღწია, თუმცა 15 წლის წინ იგი 54 წელს შეადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ცელიბატი კათოლიკურ ეკლესიაში 900 წლის წინ დამკვიდრდა, და ამერიკელ მორწმუნეთა 70%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ კათოლიკე მღვდელმსახურთა პედოფილიის მიზეზი სწორედ მასშია. http://www.pravda.ru/ http://warrax.net/51/pedo.html

ვატიკანის გაზეთ „Osservatore Romano"-ში გამოქვეყნდა სტატია მღვდელ ფორტუნატო დი ნოტოსი, რომელმაც წინადადება წამოაყენა, შეიქმნას სპეციალური საერთაშორისო სასამართლო პედოფილების დასასჯელად, ხოლო პედოფილია მიიჩნიონ **„დანაშაულად კაცობრიობის წინააღმდეგ." „ბავშვთა გახრწნა, –** წერს დი ნოტო, **– ყოველდღიურად სულ უფრო შემაშფოთებელ ხასიათს იძენს."** მისი

ფორტუნატო დი ნოტო

მონაცემებით, დღეს ინტერნეტში 4000-ზე მეტი პედოფილური საიტია. დი ნოტოს მოწოდება აღიქვეს, როგორც რომის კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური პოზიცია. ამასთან ბევრმა კომენტატორმა ვატიკანელი ოფიციოზის გამოსვლა „ისრების" გადატანის მცდელობად აღიქვა: ადანაშაულებს რა ინტერნეტს პედოფილიის პროპაგანდაში, რომს ჯიუტად არ სურს დაინახოს, რომ ბავშვთა გახრწნა დღევანდელ დღეს კათოლიკე სამღვდელოების ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ადგილია. (http://old.grani.ru/child abuse/

BBC, Deutsche Welle, NEWSru, ROL -სა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ ბოსტონის სკანდალთან, მრავალ სხვასთან ერთად, დაკავშირებულნი იყვნენ კათოლიკე მღვდლები, კერძოდ: ჯონ ჯოგანი (რომელმაც 86 მოზარდზე მეტი გარყვნა), რობერტ ფეი (მოზარდების გარყვნისათვის), კელვინ იგაბიტი (15 წლის გოგონას გაუპატიურებისათვის), ბერნარ ლეინი (სულ მცირე 17-მა ადამიანმა დაადანაშაულა იგი იმაში, რომ ბავშვობაში მისი მხრიდან განიცდიდნენ სექსუალურ ძალადობას), რობერტ უორდი (დაუმტკიცდა ძალადობა მცირეწლოვანზე), ასევე კარდინალი ლოუ (ბრალდებულია მღვდელ პედოფილთა მფარველობისათვის). მცირეწლოვანებზე სექსუალურ ძალადობაში ან ჰომოსექსუალიზმში დადანაშაულებულნი იყვნენ არა მხოლოდ „რიგითი“ მღვდლები, არამედ ლოს-ანჟელესის კარდინალი როჯერ მახოუინი, ასევე ნიუ-იორკის, მილუოკისა და ლოს-ანჟელესის არქიეპისკოპოსები. მათ სამართლებრივ დასჯაზე ჯერჯერობით არაფერი ისმის. საზოგადოებაში მრავალი ფიქრობს, რომ სასამართლო გარჩევები ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე დარღვევები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ზოგიერთი ამირეკელი თავისი დამზარალებლის თვითგასამართლებას მიმართავდა. ასე მაგალითად, ბალტიმორის მაცხოვრებელმა, დონტი სტოკსმა, პისტოლეტი დააცალა 56 წლის კათოლიკე მღვდელ მორის ბლეკუელს. სტოკსის სიტყვებით, ბლეკმა ახალგაზრდობაში აცდუნა იგი. სამართალს სასამართლოში რომ ვერ მიაღწია, დონტიმ ხელში იარაღი აიღო. არ არის გასაკვირი, რომ ციხეში ბავშვებზე მოძალადეები არ უყვართ და თავს ესხმიან, რადგან თვით ჩამოყალიბებული ბოროტმოქმედნიც კი მათ არარაობად მიიჩნევენ.

http://korrespondent.net/world/632375.

ასევე დიდი სკანდალი მოჰყვა პედოფილიის ფაქტებს ლოს-ანჟელესის ეპარქიაში, სადაც ძალადობების მსხვერპლთაგან მომხდარის შესახებ 500-მა ადამიანმა განაცხადა. გარჩევა 4,5 წელი გრძელდებოდა. ეპარქიის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ სასამართლო გარჩევები, რომლის მსვლელობის დროსაც არასრულწლოვანი ბავშვები, კათოლიკე მღვდლების ძალადობისაგან დაზარალებულები, ჩვენების მიცემას აპირებდნენ, რაც დიდად შეარყევდა კათოლიკური ეკლესიის იმიჯს ამერიკაში. სასამართლო მოსმენა არ შედგა. ასეთი გადაწყვეტილება ეპარქიას 660 მილიონი დოლარი დაუჯდა, ძალადობის მსხვერპლთათვის გაცემული კომპენსაციის სახით.

აშშ-ს ეპისკოპოსთა კონფერენციამ დააარსა ბავშვთა დაცვის ორგანო „National Review Board for the Protection of Children“, რომელმაც 2004 წელს გამოაქვეყნა „ანგარიში აშშ-ში კათოლიკური ეკლესიის კრიზისთან დაკავშირებით“. სტატისტიკა აჩვენებს, რომ 1950-2002 წ.წ.-ში 4392 კათოლიკე მღვდელს წაეყენა არასრულწლოვანებთან სექსუალური კავშირის ბრალდება. მოძალადეთა რეალური ციფრი გაცილებით მეტია. ფსიქოლოგების მტკიცებით, გარყვნილი ძალადობის შემდეგ დაზარალებულ ბავშვს შეიძლება განუვითარდეს ემოციური პრობლემები, რომელთა გამოც იგი ვერ ბედავს თავის დასაცავად მიმართოს შესაბამის ორგანოებს. BBC-ის ფილმიდან ჩანს, თუ როგორ აჩუმებენ გაუპატიურებულ ბიჭუნას კათოლიკე მღვდლები, როდესაც ეუბნებიან: „მე შენ დაგადებ აღსარების ბეჭედს, რომ აღარასოდეს დაძრა სიტყვა ამის შესახებ და ეს საიდუმლოდ დარჩება.” 2003 წ.-ს აშშ-ში მიიღეს კანონი, რომელმაც სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით საქმის განხილვის ვადა 3 წლამდე გაზარდა. ამან გამოიწვია ის, რომ 2003 წლის შემდეგ ათასობით სარჩელი შევიდა, თუმცა სიძველის გამო არშეტანილი სარჩელების რიცხვი უამრავია.

ჩიკაგოში მღვდელ პედოფილების მსხვერპლთა პატივსაცემად მემორიალურ ეკლესიას ააშენებენ. ტაძრის მშენებლობა მსოფლიო შეთანხმების ერთ-ერთი პუნქტია, რომელიც ავგუსტინელთა ორდენმა მღვდელ

ჯონ მერფის 13 მსხვერპლთან დადო. ჯონ მერფი ჩიკაგოს წმ. რიტას ტაძარში მსახურობდა. ამ შეთანხმების სხვა პუნქტის მიხედვით უნდა გამოიკვლიონ და აღმოუჩინონ დახმარება მერფის სხვა მსხვერპლთაც (22.12.2004).

მღვდელ პედოფილთა მსხვერპლთათვის დასვენების ზონა, „ფერმა“, შეიქმნება. სექსუალური დანაშაულობების მსხვერპლთა საქმეების აშშ-ს ეპისკოპოსთა კონფერენციის კომიტეტის უფროსმა, მინეაპოლისის არქიეპისკოპოსმა გარი ფლინმა, მღვდელ პედოფილთა მსხვერპლთათვის დასვენების ზონის, „ფერმის“, შექმნის გეგმა მოიწონა. ცენტრში დაზარალებულებს ჩაუტარებენ ფსიქოთერაპიის კურსებს. პრელატის (იერარქი - ავტ.) სიტყვებით, „ფერმაში“ შეიქმნება გარემო, სადაც დაზარალებულები რელიგიურ ლიდერებს შეხვდებიან და ეკლესიას შეურიგდებიან.

ამერიკელები, რომლებიც კათოლიკე მღვდლების მხრიდან სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალდნენ, გაწბილებულები არიან პაპის შეხვედრით აშშ-ს კარდინალებთან. კათოლიკურმა ეკლესიამ არ დაასახელა მღვდელ პედოფილთა სახელები, არ დააიმედა საზოგადოება, რომ ძალადობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობებდა პოლიციას და არ აიღო რაიმე ვალდებულება პედოფილი მღვდლების მსხვერპლთა დასახმარებლად. ფულადი კომპენსაციის გარდა, კათოლკური ეკლესიისგან მოელიან, რომ ძალადობის შედეგად დაზარალებულთათვის შექმნის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრს. თემასთან დაკავშირებით იხილეთ:
- Abuse Victims Skeptical After Summit - AP, 25.04.2002; Àì åðèêàí ñêèé êàðäèí àë ï î ñï åø èë î òêðåñòèòüñÿ î òï ääî ôèëî â - Lenta.Ru, 22.04.2002; Ñâÿù åí í èê-ï ääî ôèë ñî âðàù àë ì àëü÷èêî â â òðåõ ñòðàí àõ Lenta.Ru,20.04.2002. http://lenta.ru/world/2002/04/25/victims/; http://news.invictory.org/issue17579.html.

ლოს-ანჟელესის ეპარქიამ მღვდელ პედოფილთა 600-მდე მსხვერპლს მილიარდი დოლარი გადაუხადა. ეს, რა თქმა უნდა, ეპარქიას ბანკროტობის ზღვარზე დააყენებს და კათოლიკური ეკლესიისადმი ნდობის კრიზისს

უფრო გააღრმავებს. სასამართლოს კომპენსაციის გადახდის პროცედურისა და ოდენობების განსაზღვრა მოუწევს, მაგრამ ეპარქიის თავმა, კარდინალმა მახოუინიმ, საწმყსოს ოფიციალური ბოდიში უკვე მოუხადა და დანანებით თქვა, რომ არ შეუძლია დაზარალებულებსა და ეკლესიას შორის უმწიკვლო ურთიერთობების აღდგენა. კარდინალს დამწუხრებისათვის კიდევ რამდენიმე მიწიერი მიზეზი აქვს: ლოს-ანჟელესის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, გახმაურდება ყველა იმ პედოფილი მღვდლის სახელი, რომელთა წინააღმდეგაც ბრალდებები იყო წამოყენებული. ამას გარდა, ლოს-ანჟელესი გადაიხდის რეკორდულ თანხას. მანამდე ბოსტონის ეპარქია იყო „რეკორდსმენი". ბევრი მსხვილი კათოლიკური სამრევლო უფრო მცირე ოდენობის კომპენსაციებმაც კი აიძულა ბანკროტობის შესახებ გამოეცხადებინა. 2007 წლის თებერვალში სან-დიეგოს ეპარქიამ განაცხადა, რომ არ შესწევს უნარი დააკმაყოფილოს დაზარალებულთა მოთხოვნები. რამდენიმე თვით ადრე დევენპორტის ეპარქიამ განაცხადა თავისი ფინანსური გაკოტრების შესახებ და მიმართა ხელისუფლებას, მის მიმართ გამოიყენოს ფედერალური კოდექსის მე-11 თავი ბანკროტობის შესახებ, რომელიც აქტივების სრულ რესტრუქტურიზაციას გულისხმობს. მანამდე ბანკროტად გამოცხადდა ტუსონისა და სპოკეინის ეპარქიებიც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ეპარქიის ბიუჯეტში უკვე ითვალისწინებენ თანხებს, რომლიდანაც მომავალში მრევლის სარჩელის საფუძველზე კომპენსაციას გადაიხდიან. მაგალითად, პორტლენდში ამ საჭიროებისათვის 20 მილიონი დოლარი გამოიყო (თავისებური ინდულგენციაა - ავტ.).



რაც შეეხება ლოს-ანჟელესს, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა მრავალმა დაზარალებულმა, კარდინალ მახოუინის მიერ გამოთქმულმა დანანებამ მრავალი წლით დაიგვიანა. ის უკვე 22 წელია ეპარქიას მართავს და მისი თუნდაც დიდი გულუბრყვილობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იყო, არ დაენახა ის დანაშაულობანი, რომლებიც მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ხდებოდა.16.7.2007

http://www.sektam.net/forum/index.php?showtopic=554&st=0

2008 წელს, ამერიკაში ბენდიქტ XVI-ის დაგეგმილ ვიზიტამდე, კომპენსაციებისათვის სახსერების მოსაძიებლად კათოლიკური ეკლესია

იძულებულია გაყიდოს უძრავი ქონება, ეპარქიის შტაბ-ბინის ჩათვლით ლოს-ანჟელესში, ასევე, შესაძლოა, რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი. 2008 წლის 3 აპრილს რომის პაპი ბენედიქტ XVI ვაშინგტონში შეხვდა იმ ამერიკელებს, რომლებიც ბავშვობის წლებში კათოლიკე პედოფილი მღვდლებისაგან დაზარალდნენ.

უნებლიე აღიარების მანიშნებელია ვაშინგტონში ვატიკანის წარმომადგენლის, არქიეპისკოპოს პიეტრო სამბის წარმოთქმული სიტყვები, რომელიც შემდეგი შინაარსისაა: აშშ-ს კათოლიკურ ეკლესიაში არიან არა მხოლოდ პედოფილები, არამედ არის პოზიტიურიც (?!-ავტ). აშშ-ს კათოლიკე ეპისკოპოსების კონფერენციას მან მოუწოდა, იმუშაონ აშშ-ში კათოლიკური ეკლესიის იმიჯის ასამაღლებლად, რომელიც შეირყა ხმაურიანი პედოფილური სკანდალების დროს. კერძოდ, კონფერენციის სხდომაზე მან თქვა: ***„დაუშვებელია სიტუაცია, როდესაც ეკლესია*** (ე.წ. კათოლიკური - ავტ.) ***შეერთებულ შტატებში ცნობილია სექსუალური სკანდალების მეშვეობით. მის მოღვაწეობაში არც თუ ცოტა პოზიტიური მხარეა, რომლებიც ცნობილი უნდა გავხადოთ.“*** http://www.sunhome.ru/journal/12661



როგორც აშშ-ში კათოლიკების არქივმა აჩვენა, კათოლიკე სამღვდელოების წინააღმდეგ გამოვიდა 10667 ადამიანი (მომდევნო მონაცემებით – 14 ათასზე მეტი - ავტ.). ჯონ/ჯეის სახ. კრიმინალური სამართლიანობის კოლეჯის – College of Criminal Justice – თანამშრომლები, რომლებიც გამოკვლევას ატარებდნენ, თვლიან, რომ ეს ციფრი ძალიან დაშორებულია რეალობასთან, რადგან მხოლოდ იმ დაზარალებულთა მონაცემებს ასახავს, რომლებმაც ცალკეული მღვდლის ქმედების შესახებ უფრო მაღალი რანგის მღვდელმსახურს აცნობეს. ყოველწლიურად რეგისტრირებული დანაშაულობების რიცხვი რეალურად ჩადენილ დანაშაულობათა 13%-ზე ნაკლებს შეადგენდა (ანუ დანაშაულთა რეალური რიცხვი კათოლიკების არქივში რეგისტრირებულზე თითქმის 8-ჯერ მეტი იყო - ავტ.). ძალადობის

მსხვერპლთა მეოთხედი მომხდარის შესახებ ათეული წლების შემდეგ ჰყვებოდა. მრავალ მოზრდილ ადამიანს უბრალოდ არ უნდა იმის აღიარება, რომ ოდესღაც მასზე მისმა სულიერმა მოძღვარმა იძალადა. ტიპური მღვდელი პედოფილი, უმრავლეს შემთხვევაში, მამაკაცია (შემთხვევათა 81%). მსხვერპლთა 40% ძალადობის დროს 11-14 წლის იყო, პედოფილ მღვდელთა უმრავლესობა – 30-39 წლისაა, 20% – 20 წელზე ნაკლების, 23% – 40 წელზე მეტის, 17% მოძალადე მღვდელი – 50 წელზე მეტის. დანაშაულობათა ნახევარი ჩადენილია მღვდლის სახლში. არც თუ იშვიათად ძალადობა ეკელსიაში (16,3%) ან მსხვერპლის სახლში (12,4%) ხდებოდა. სხვა შემთხვევებში იმ ადგილებად, სადაც ძალადობას ჰქონდა ადგილი, ასახელებენ აგარაკებს, სკოლებსა და ავტომობილის სალონებს.

კათოლიკე მღვდელთა უმრავლესობა დაადანაშაულეს არა ერთჯერადი, არამედ მრავალჯერადი უხამსი საქციელისათვის. საინტერესოა, რომ მკვლევარები არა მხოლოდ დანაშაულის ფაქტებს ეძიებდნენ, არამედ – მათი ჩადენის მიზეზებსაც. მაგალითად, მათ მოახერხეს დაედგინათ, რომ 7%-ს მღვდლებისას, რომლებიც დაადანაშაულეს არასრულწლოვანთა შეცდენის ცოდვაში, თავად ჰქონდათ ბავშვობაში ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის გამოცდილება. მღვდელთა 19%-ს ჰქონდა პრობლემები ალკოჰოლთან ან ნარკოტიკებთან დაკავშირებით, თანაც უმრავლეს შემთხვევაში ადმინისტრაციამ იცოდა ამის შესახებ და ცდილობდა, პრობლემა არ გაეხმაურებინა. ბრალდებულთა 23%-ს ფსიქოლოგიური გადახრები ჰქონდა.

კრიმინალური სამართლიანობის კოლეჯის თანამშრომლებმა დოკუმენტურად დაამტკიცეს, რომ უფროსმა ეპისკოპოსმა პოლიციას გადასცა მხოლოდ 14% იმ კათოლიკე მღვდლებისა, რომლებიც დაადანაშაულეს სექსუალურ ძალადობაში. 4392 დადანაშაულებული მღვდლიდან მხოლოდ 217 იყო სახემწიფო მართლმსაჯულების ხელში. მათგან სასამართლომ

138 გაასამართლა. სექსუალური ძალადობის დანარჩენი შემთხვევების შესახებ ეკლესია დუმდა და ეს საქმეები არასდროს გამოძიებულა. როდესაც საქმე საჩოთირო თემას შეეხებოდა,მკვლევარებმა ვერც ერთ არქივში ვერ იპოვეს გაკიცხვის სიტყვა. მღვდელმსახურები, რომლებსაც ეკითხებოდნენ, თუ რატომ არ ისჯებოდნენ დამნაშავენი, პასუხობდნენ, რომ ამას ხელს უშლიდა კათოლიკური კანონები. კათოლიკური კანონი მრავალ წინააღმდეგობას უქმნის მღვდლის სამრევლოდან გაძევებას. ამას გარდა, ეპისკოპოსებს ეშინოდათ მრევლსა და ეკლესიაში შესაძლო სკანდალის ატეხისა, რასაც შეეძლო მათ საეკლესიო კარიერაზე უარყოფითად ემოქმედა.

ასეთ საკითხებთან დაკავშირებული კვლევები ერთეულებია. კათოლიკური ეკლესია საერო მკვლევარებს მსგავს თემებთან (მ.შ. კათოლიკების არქივთან - ავტ.) იოლად არ უშვებს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე აშშ-ში გამოქვეყნდა რამდენიმე გამოკვლევა, რომლებიც არასრულწლოვანებზე მღვდელთა სექსუალურ ძალადობას შეეხებოდა. ყოფილი მღვდელი, რიჩარდ

პლაკატზე წერია: **ფართოდ გავრცელებული ძალადობა ბავშვებზე**

საიპი,რომელიც ფსიქოთერაპევტი გახდა, თვლიდა, რომ სექსუალურ ძალადობას ჩადის სამღვდელოების 6% (სხვა გამოკვლევებში ეს რიცხვი კიდევ უფრო მაღალია - ავტ.). ატეხილმა სკანდალებმა გაარღვია დუმილის ფარდა, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე ბნელ ფურცელს ფარავდა. მაგრამ ამერიკის კათოლიკური ეკლესიის სასულიერო დასი მაინც კიდევ უარს ამბობს თავის დამნაშავე შვილებისთვის საეკლესიო წოდების აყრასა და მრევლისაგან განშორებაზე. თუმცა, ეკლესიამ რამდენიმე მაღალჩინოსანი იერარქი „წააქცია“, რამდენიმე დამნაშავე მღვდელმა თავი მოიკლა, ერთი ციხეში მოკლეს.

აშშ-ში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამერიკელი კათოლიკები არ ენდობიან საეკლესიო იერარქებს. მაგალითად, სამსახურ Gallup-ის გამოკითხვამ შემდეგი შედეგები აჩვენა: კათოლიკეთა 72% თვლის, რომ კათოლიკე იერარქები ძალიან ცოტას აკეთებენ იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აიცილონ მსგავსი დანაშაულობანი. 74%-მა განაცხადა, რომ ეკლესია დაინტერესებულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი რეპუტაციის დაცვით და არა – სიმართლის გარკვევით.

05.03.2004.

2007 წელს კვლავ აგორდა სკანდალი კათოლიკურ ორდენ „იესოს საზოგადოების“ წევრის, 77 წლის დონალდ მაკგაიერის (Donald McGuire) ირგვლივ, რომელსაც მცირეწლოვანთა გახრწნისათვის წინა წელსაც ედებოდა ბრალი. დაზარალებული მოზარდი, რომელიც პასტორთან ერთად ცხოვრობდა ევენსტონში (ილინოისის შტატი), სადაც მღვდელი მათი ოჯახის მოძღვარი იყო, ამტკიცებდა, რომ მაკგაიერი მას აუპატიურებდა 1999 წლიდან 2003 წლამდე. მეორე დაზარალებული ამბობდა, რომ მაკგაიერი მას აუპატიურებდა 9 წლიდან 14 წლამდე. ორივე დაზარალებული ჰყვებოდა, რომ დასაწყისში მღვდელი მათთან ერთად იხილავდა სექსის თემას, შემდეგ ისინი უყურებდნენ პორნოგრაფიას, ხოლო შემდგომ ეწეოდნენ ორალურ სექსს. მაკგაიერი 15 წლით ჩასვეს ციხეში და დაეკისრა ჯარიმა 250000 დოლარის ოდენობით.



(http://americaru.com/ 2007 წ.). (ამ ცნობის წაკითხვისას შემაშფოთებლად გახსენდება საქართველოში კათოლიკეთა ჟურნალ „საბაში“ დაბეჭდილი წერილიდან გოგონას ნათქვამი (როგორ გაეპარათ, გასაკვირია), რომ მათ პადრე სექსზე ესაუბრებოდა).

ავადმყოფობათა საერთაშორისო კლასიფიკაციით, რომელიც შეადგინა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ, პედოფილია 1965 წელს სქესობრივ გარყვნილებათა ჯგუფს მიაკუთვნეს, 1973 წელს „გადახრად“ დასახელდა, ხოლო 1993 წელს – „სექსუალური ორიენტაციის დარღვევად“. სახეზეა მსოფლიოს სექსუალური ტოლერანტობის ევოლუცია.

BBC-ის გადაცემა „პანორამაში“ განხილული იყო საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ფარგლებში სექს-სკანდალებისა და ძალადობების შესახებ საკითხების განხილვის პროცედურას განსაზღვრავს. ეს საიდუმლო დირექტივა, სახელწოდებით Crimen Sollicitationis, ამოქმედდა კარდინალ რაცინგერის თაოსნობით, მისი პაპად არჩევამდე ათწლეულით ადრე. დოკუმენტი ინსტრუქციებს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეს კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელი იმ დროს, როდესაც საჩივარია კათოლიკე მღვდლის წინააღმდეგ მის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით. კრიტიკოსები ამბობენ, რომ ამ დოკუმენტს იყენებდნენ სასამართლოსაგან თავის დასაღწევად სექსუალურ საფუძველზე ძალადობების ფაქტებთან დაკავშირებით.

ცინცინატის (ოჰაიოს შტატი) ფედერალურმა სამხარეო სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დაიწყოს სასამართლო გარჩევები ვატიკანის წინააღმდეგ. ბავშვთა გახრწნის საქმეების მიმართ დაუდევრობის გამოჩენის გამო, მოსამართლე ჯულია სმიტ გიბონსმა ვატიკანი პასუხისმგებელ მხარედ მიიჩნია. როგორც ესპანური სააგენტო Efe წერს, ფედერალურ სასამართლოს პირველად გამოაქვს ვატიკანის წინააღმდეგ მიმართული გადაწყვეტილება. სასამართლომ დაადგინა, რომ ვატიკანი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, აღიარებული აშშ-ს მთავრობის მიერ, შეიძლება გახდეს მოპასუხე საქმეში, თუ დამტკიცდა, რომ მღვდლები და რომის კათოლიკური ეკლესიის სხვა წარმომადგენლები მალავდნენ სექსუალური ძალადობების ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა აშშ-ს ტერიტორიაზე. მოსარჩელედ გამოვიდა კენტუკის სამი მაცხოვრებელი. მათ განაცხადეს, რომ კათოლიკე მღვდლების მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი გახდნენ. დაზარალებულები ჯერ კიდევ 2004 წელს ცდილობდნენ, საქმე სასამართლომდე მიეყვანათ, მაგრამ მაშინ ვატიკანი კენტუკის დედაქალაქ ლუისვილის დიოცეზისათვის (საეპისკოპოსო ოლქი - ავტ.) 25,7 მილიონი დოლარის გამოყოფით შემოიფარგლა. ახლა სამი ამერიკელის ინტერესებს წარმოადგენს ადვოკატი უილიამ მაკმიურეი, – იუწყება გამომცემლობა „Wall street Journal”-ი. მაკმიურეიმ ამ გაზეთის მიმომხილველებს მოუთხრო, რომ მისთვის ცნობილია ცინცინატის სასამართლოს გადაწყვეტილება და იმედი აქვს, რომ ვატიკანს სექსუალური ძალადობებისათვის საკადრისს მიაგებს. ადვოკატი დარწმუნებულია, რომ მცერეწლოვანთა გახრწნაში პასუხისმგებლობა დაეკისრა არა მარტო ადგილობრივ დიოცეზს, არამედ თავად ვატიკანსაც. საქმე შეიძლება პრეცედენტი გახდეს ყველასათვის, ვინც კლირიკოსებისაგან დაზარალდა.

პედოფილ მღვდელთა მსხვერპლი რომ გაცილებით მეტია, ვიდრე შეტანილი სარჩელები, იქიდანაც ჩანს, რომ მრავალი დაზარალებული ბავშვი და მისი მშობლები დუმილს არჩევენ. სარჩელების ძირითადი ნაწილი შეტანილია უკვე მოზრდილთა მიერ, რომლებიც ბავშვობაში მოძალადე კათოლიკე მღვდლების მსხვერპლნი გახდნენ.

ამერიკელი იურისტები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს მოვლენების განვითარებას ოჰაიოსა და კენტუკიში, რადგან მანამდე პედოფილიაში დანაშაულობების საქმე ვერ აღწევდა ამ დონის ინსტანციის სასამართლომდე, იმიტომ რომ კათოლიკური ეკლესიის წევრი თანამდებობის პირები იცავდნენ პედოფილ მღვდლებს და ხელს უწყობდნენ დაწყებული საქმეების მიჩუმათებას. ამასვე უწყობდა ხელს აშშ-ს 1976 წლიდან მოქმედი კანონი უცხოური სუვერენული იმუნიტეტების შესახებ.

მოსამართლე გიბსონი აპირებს დაამტკიცოს, რომ უცხოური ქვეყანა, ამ შემთხვევაში ვატიკანი, შეიძლება დამნაშავედ მიიჩნეს თვით 1976 წლის კანონის ჩარჩოებში. ***„თუ ვინმე შეძლებს შეანგრიოს იმუნიტეტის ბარიერი, ეს გზას გაუხსნის სხვა სარჩელებს კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ,“*** – დარწმუნებულია ადვოკატი ვაშინგტონიდან, ჯონათან ლევი. ის იცავს ინტერესებს საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღებისა, რომლებიც ადანაშაულებენ მრავალ მხარეს, მათ შორის ვატიკანს.

სხვათა შორის, ჰიტლერელების მიერ უკრაინის ოკუპაციის დროს ოკუპანტებთან მხოლოდ კათოლიკურ-უნიატური ეკლესია თანამშრომლობდა, ხოლო ფაშისტების ერთ-ერთი „კუდის“ კანონიზებას დღესაც კი ახდენენ. უკრაინის „გრეკო-კათოლიკური ეკლესიის“ ეპისკოპოსთა სინოდმა გადაწყვეტილება მიიღო, შუამდგომლობა აღძრას და მიმართოს რომის კურიას (პაპის ცენტრალური ორგანო - ავტ.) კარდინალ სლიპოის ბეატიფიკაციის (რომის პაპის მიერ „წმინდანად“ შერაცხვა - ავტ.) შესახებ, მიუხედავად ფაშისტებთან მისი კავშირისა. იოსებ სლიპოი უკრაინის „გრეკო-კათოლიკურ ეკლესიას“ 1940-1970 წლებში ხელმძღვანელობდა. უნიატმა ეპისკოპოსებმა, ალბათ, ჩათვალეს, რომ ყოფილი პირველიერარქის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები გერმანელ ფაშისტებთან არ წარმოადგენს დაბრკოლებას მისი კათოლიკური ეკლესიის წმინდანის სახით გაბრწყინების გზაზე.

მღვდელი პედოფილები მათ მიერ ცდუნებული ბავშვების მშობლებს ადანაშაულებენ

ადვოკატებმა პედოფილი მღვდლების დაცვის საინტერესო სისტემა წარმოადგინეს. როგორც იუწყება NTV-International,ახლა მღვდლები მათ მიერ ცდუნებული ბავშვების მშობლებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი თავიანთ შვილებს ცუდად ადევნებდნენ თვალყურს. ასეთი მოსაზრების წამოყენება მხოლოდ ამერიკის პირობებშია შესაძლებელი, სადაც ადვოკატები თავიანთი კლიენტის სასარგებლოდ ყველაფრისთვის მზად არიან, თვით

კაზუისტიკური პარადოქსული ბრალდების წამოყენებისთვისაც კი. სხვა ქვეყანაში პედოფილის მიერ გამოთქმულ ბრალდებას, რომ დამნაშავენი არიან მათ მიერ ცდუნებული ბავშვების მშობლები, ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

მოულოდნელად შემოტრიალდა საქმე მასაჩუსეტელი მღვდლის, ჯონ აკხანისა, რომელსაც ბრალი სექსუალურ ძალადობაში, 12 წლის ბიჭის, პატრიკ მაკსორლის, გაუპატიურებაში ედებოდა. მღვდლის ადვოკატებმა სასამართლოში ბიჭის მშობლებს უჩივლეს, ბრალი დასდეს მათ დანაშაულებრივ უყურადღებობში, რომ ბავშვს თვალყურს არ ადევნებდნენ. მათი სიტყვებით, პატრიკის მიმართ სწორედ მშობლების უყურადღებობამ გამოიწვია ის, რომ იგი გახდა რომის კათოლიკური ეკლესიის მსახურის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

11.06.2002

რომის პაპს, იოანე პავლე II-ს ბოდიშის მოხდა მოუხდა საერო საზოგადოებისთვის ყველა იმათ გამო, ვინც კათოლიკურმა ეკლესიამ დაასაჭურისა საეკლესიო გუნდებისთვის მათი მგალობლებად მომზადების მიზნით. ამ საქმეში კიდევ შეიძლება გაუგოს პაპს კაცმა (პუბლიკაციის ავტორის ირონიაა - ავტ.) – ბუნებრივი დისკანტი (ბიჭის მაღალი ხმა - ავტ.) საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. ახლანდელ პაპს კი (ბენედიქტ XVI-ს - ავტ.) ბევრად უფრო რთული ხვედრი ერგო. მან პატიება უნდა გამოითხოვოს პედოფილი მღვდლების გამო.

თავად რომის ეკლესია ხელმძღვანელობს 1962 წლის მემორანდუმით, რომლის თანახმადაც ყველა მღვდელი იღებს ვალდებულებას, გაჩუმდეს საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც სექსუალურ ძალადობებს ეხება. ეს მემორანდუმი 2003 წელს გამოამზეურეს.

http://www.infox.ru/authority/foreign/2008/11/26/document4076.phtmll (2008 წლის ნოემბერი).

სატატისტიკა აჩვენებს, რომ პედოფილიის რისკს უფრო მეტად ჰომოსექსუალები ექვემდებარებიან. „Joy College“-ს მონაცემებით,

არასრულწლოვანებთან სექსუალურ კავშირში დადანაშაულებული კათოლიკე მღვდლების 81% არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისანი არიან. პაპმა ბენედიქტე XVI-მ აშშ-ს ეპისკოპოსებს მოუწოდა, რომ ხელი არ დაესხათ ჰომოსექსუალური მიდრეკილების სემინარისტებისათვის.
http://a.theism.com/ 2008 წ.

საინტერესოა, რატომაა კათოლიკურ ეკლესიაში ასეთი მაღალი პროცენტი ჰომოსექსუალური მიდრეკილებების მქონე მღვდლებისა? ფსიქოლოგიური ანალიზი აჩვენებს, რომ ჰომოსექსუალების მომრავლების ერთ-ერთი წყარო ბიჭების გაუპატიურებაშიც უნდა ვეძებოთ, რადგან მრავალი ნამუსახდილი ბიჭი, როცა შედის სქესობრივი მომწიფების ასაკში, ჰომოსექსუალისტად ყალიბდება. ეს იმის გამო ხდება, რომ ძალადობის მსხვერპლს უყალიბდება აზრი, თითქოს მან თავად მოახდინა გაუპატიურების პროვოცირება, მიიზიდა მოძალადე – ხშირ შემთხვევაში ასეთია მსჯელობის ლოგიკური სქემა მსხვერპლისა, რომელსაც სურს გაერკვეს იმ ვითარებაში, რომელშიც ის მოხვდა. მსხვერპლის მტაცებელთან გაიგივება – ესაა სტოკჰოლმის სინდრომი. ამ სინდრომის გამო, ბავშვობაში გაუპატიურებულს ხშირად უვითარდება კომპლექსი, რომელიც მასში დანაშაულის გრძნობას აჩენს იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა. ასეთი ფსიქოლოგიური შანტაჟის ქვეშ მყოფი მსხვერპლი მომავალში ჰომოსექსუალისტად ყალიბდება და მიდრეკილია იქითკენ, რომ იგივე მოახვიოს თავს სხვა ბავშვებს. მრავალი მათგანი შედის კათოლიკურ სასულიერო სემინარიაში, ხდება მღვდელი და მიიწევს მაღალი ეშელონებისაკენ. ზოგიერთი მკვლევარის ანალიზით, რადგან კათოლიკური ეკლესია არ რთავს უფლებას თავის მღვდლებს, იყოლიონ ცოლები და დაიკმაყოფილონ სექსუალური მოთხოვნილებები, კათოლიკურ ეკლესიაში მრავალი გადაადგილდება ჰომოსექსუალური მიდრეკილებების გამო, რასაც ისინი გულმოდგინედ ფარავენ. კათოლიკური იერარქიის კიბეზე დაწინაურების მსურველების ჩაბმა პედოფილიაში შედარებით ადვილია. ამით აიხსნება ის, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა საეკლესიო იერარქია დაბალი რანგის სასულიერო პირების მიერ ჩადენილი ნებისმიერი პედოფილური დანაშაულის აღიარებას. კათოლიკური ეკლესიის მაღლჩინოსნობა თავად არაა უცოდველი, – აცხადებს ზოგიერთი მკვლევარი.

http://www.zetatalk.com/russia/zeta212.htm , 2005 წლის მარტი-აპრილი.

ამ წლის იანვარში (2002 წ. - ავტ) იტალიელმა გეებმა (ჰომოსექსუალებმა) თხოვნით მიმართეს პაპ იოანე პავლე II-ს, „მიეცა“ ჰომოსექსუალებისათვის წმინდანი და მფარველი. თხოვნაზე უარი უთხრეს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ კათოლიკური ეკლესიის დოქტრინის შესაბამისად ყველა პაპი წმინდანია (კათოლიკური ეკლესიისის მორიგი სიცრუე - ავტ.), მაშინ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ გეებს მრავალი მეოხი ჰყავს ცათა სასუფეველში (მკრეხელური დასკვნაა, გამომდინარე კათოლიკური ეკლესიისის არსიდან – ავტ.). ვატიკანის ისტორიამ სულ მცირე 10 პონტიფიკ-პედოფილი (პედოფილი პაპი) იცის. ესენია: ბენედიქტ IX, ბონიფაცი VIII, იოანე XXIII, პავლე II, სიქსტი IV, ალექსანდრე VI, იულიუს II, იულიუს III, ლეონ X და კლემენტ VII. მოგითხრობთ ზოგიერთი მათგანის „სამწყსო“ მოღვაწეობის შესახებ.

ბენედიქტე IX. იგი პაპი 1032 წელს გახდა (რომის ეკლესია ამ დროისთვის უკვე რამდენიმე საუკუნე მწვალებლობაში იყო შთავარდნილი,

თუმცა იგი ანათემას გადასცეს 1054 წელს - ავტ.). მისი თანამედროვეები წერდნენ, რომ პაპის სასახლე ყველაზე კარგი საროსკიპო სახლი იყო. ***„ის დილიდან საღამომდე თანაცხოვრობდა კაცებთან, ქალებთან და ცხოველებთან,“*** – წერს ანონიმი ავტორი. „კათოლიკურ ენციკლოპედიაში“ ბენედიქტე IX წოდებულია ეკლესიის სირცხვილად (მაშ, როგორღა გამოდის იგი „უცდომელი“, თუნდაც „ექსკათედრა“? აი, კიდევ ერთი დასტური პაპთა „უცდომელობის“ ფიქციისა. - ავტ.).

იოანე XXIII. ამ პაპის ცოდვებმა ყველა პაპის ცოდვებს გადააჭარბა. პაპობის პერიოდში მისი გართობა ბიჭუნების პირდაპირ ქუჩებში გაუპატიურება იყო. ბიჭუნებს კი მიყრუებულ ადგილებში იჭერდა. მან ყველა თავის ახალგაზრდა ნათესავთან თანაიცხოვრა. 1414 წელს მას

ბრალი 70 ბოროტმოქმედებაში წარუდგინეს, რომელთა შორის ყველაზე მძიმე იყო სოდომია, გაუპატიურებები, ინცესტი (უახლოეს ნათესავებთან სქესობრივი კავშირი - ავტ.) და მისი წინამორბედის, ალექსანდრე V-ის მკვლელობა. ბრალმდებელი მის კოცონზე დაწვას მოითხოვდა, მაგრამ სასამართლომ იგი გაამართლა (აბა, „უცდომელს“ ხომ არ გაამტყუნებდა? – ავტ.). მოგვიანებით იოანე XXIII ბალთაზარ კოსას კარდინალი გახდა, შემდეგ კი – რომის წმიდა კოლეჯის დეკანი.

პავლე II-ს უყვარდა ორი რამ: ძვირფასი ტანსაცმელი და კარნავალები. ეს უკანასკნელნი მისი მეთვალყურეობით იმართებოდა. ის ითხოვდა, რომ Mardi-Gras-ის (დღესასწაული „მსუქანი სამშაბათი“) მსვლელობისას მონაწილეთა რიგებში გოგოების ტანსაცმელში გადაცმული ბევრი ყმაწვილი ბიჭი ყოფილიყო. მას პირობითად თანამედროვე „Love-პარადების“ დამაარსებელი შეიძლება ვუწოდოთ. პავლე II-ს მმართველობის დროს გახშირდა დაპატიმრება ახალგაზრდა ლამაზი მამაკაცებისა, რომელთაც პონტიფიკის თანდასწრებით პაპის სარდაფებში აწამებდნენ. პავლე II-ს გადაასწრო მხოლოდ ლეონ X-მ, რომელსაც უყვარდა ტორტები, საიდანაც შიშველი ბიჭუნები გამოხტებოდნენ ხოლმე. პავლე II 1471 წელს გულის შეტევით გარდაიცვალა, აქამდე იგი მისმა დაუოკებელმა ბიჭუნა საყვარელმა მიიყვანა.

იულიუს III. იულიუს III-ს (XVI საუკუნე) დროს ჰეტეროსექსუალებს კარიერაში წინსვლის არავითარი შანსი არა ჰქონდათ. პონტიფიკმა გარშემო მჭიდროდ შემოირტყა პირთა წრე, შემდგარი ჰომოსექსუალებისა და პედოფილებისაგან, რომლებიც ყველა უპირატესობით სარგებლობდნენ და ფუფუნებაში ცურავდნენ. უახლოესი წრის სათავეში იდგა მისი უკანონო შვილი, ბერტუჩინო, ხოლო მისი მთავარი მრჩეველი იყო 17 წლის ინოჩენცო, რომელსაც სახელმწიფო მდივნის ტიტული უბოძა.

http://compromat.ru/page_11766.htm

* * *

საფრანგეთში სასამართლო პროცესი გაიმართა 65 წლის ბაიე და ლიზიეს ეპისკოპოს პიერ პიკანის წინააღმდეგ, რომელიც მართლმსაჯულებისაგან პედოფილი მღვდლის, რენე ბისეს, დაფარვაში დაადანაშაულეს. რენე ბისეს ბიჭუნას გაუპატიურებისა და 1989-1996 წ.წ.-ში

ათობით სხვა მოზარდზე სექსუალური ძალადობის მცდელობისათვის 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. აღმოჩნდა, რომ ეპისკოპოსმა პიერ პიკანმა იცოდა ბისეს ქმედებების შესახებ. 1998 წელს მან ბისე სხვა სამრევლოში გადაიყვანა. შემდეგ ბისე დააპატიმრეს.

საფრანგეთისათვის სიახლე არ არის პედოფილია კათოლიკე მღვდლებს შორის. ათობით სასულიერო პირი იხდის ამისათვის მსჯავრს ციხეში. ფრანგებისათვის შოკის მომგვრელი ის იყო, როდესაც აღმოჩნდა, რომ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობა არანაირ ღონეს არ მიმართავდა მოზარდების დასაცავად ანაფორიანი პედოფილებისაგან.

* * *

მსგავსად საფრანგეთში მომხდარი შემთხვევისა, ინგლისისა და უელსის კათოლიკური ეკლესიის იერარქმა, არქიეპისკოპოსმა კორმაკ მერფი-ო-კონორმა ნება დართო პედოფილ მაიკლ ხილს მღვდლის ხარისხში გაეგრძელებინა მსახურება. პრელატმა 1984 წელს ბავშვების მშობლებისაგან გაიგო ხილის მიდრეკილების შესახებ, რომ იგი ერჩოდა ბავშვებს, და შეჰპირდა მათ, რომ ყველაფერში გაერკვეოდა, მაგრამ მაინც დართო ნება ხილს, ჰყოლოდა მრევლი. ხილმა კი ჩათვალა, რომ მას ყველაფრის უფლება აქვს და უფრო აქტიურად ცდილობდა ბავშვებზე ძალადობას. მისი ქმედება სასამართლომ აღკვეთა: 1997 წელს ხილი ციხეში ჩასვეს. მისმა ხელმძღვანელმა არქიეპისკოპოსმა კი განაცხადა, რომ არავინ უკრძალავდა მშობლებს, ადრევე მიემართათ სასამართლოსთვის. ბრიტანელი პრელატი დამნაშავის მფარველობისათვის არ დასჯილა.

ინგლისისათვის კათოლიკე პედოფილი ანაფორიანების საქმეები კარგად არის ცნობილი. უამრავი პედოფილი მღვდელი იხდის სასჯელს ბრიტანეთში. ვატიკანის ქმედება დამნაშავე სამღვდელოების მიმართ ნამდვილად არ არის ადექვატური. ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი, ვინც პედოფილიის გამო გადააყენეს მღვდლობიდან, გაცილებით ნაკლებია იმათ რიცხვზე, ვისი პედოფილური ქმედებაც პოლიციამ აღკვეთა. თავის პრობლემებზე ღიად საუბრისა ვატიკანს რცხვენია. იოანე პავლე II-მ ორჯერ მიიღო თავის რეზიდენციაში ვენის ყოფილი არქიეპისკოპოსი, ჰანს გერმან გროუერი, მიუხედავად იმისა, რომ პრელატის მისამართით ხმამაღლა გაიჟღერა

ბრალდებამ მის მიერ ყმაწვილი კლირიკოსების ცდუნებასთან დაკავშირებით.

და სანამ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობა კეთილგანწყობილია თავისი პედოფილების მიმართ, მანამდე სათუოა, რომ საზოგადოება სერიოზულად აღიქვამს მოწოდებას, შეიქმნას ტრიბუნალი ინტერნეტ-განმხრწნელთა წინააღმდეგ.

უელსის დედაქალაქ კარდიფის არქიეპისკოპოსის თანაშემწე ჯონ ოუენი ტელეარხ BBC-ის პროგრამა „სერიოზული კითხვებში“ ირწმუნებოდა, რომ პედერასტები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელებულ პედოფილიაზე, ბოროტმოქმედნი არიან. ინგლისისა და უელსის კათოლიკურ ეკლესიას შემოაქვს ახალი ღონისძიებები იმ მღვდელთა წინააღმდეგ, რომლებიც ძალადობენ ბავშვებზე. იქმნება დამოუკიდებელი კომიტეტი იმ მოქმედებებზე კონტროლისათვის, რომელთაც კათოლიკური ეკლესია ახორციელებს პედოფილების წინააღმდეგ. კომიტეტს ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი, მასში შედიან: რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი, პოლიციელის ჩათვლით, ფსიქიატრი და იურისტი. კომიტეტი არ განიხილავს ძველ საქმეებს პედოფილიის მსხვერპლთათვის კომპენსაციების გადახდასთან დაკავშირებით, არამედ ყურადღებას გაამახვილებს ახალ საქმეებზე.
იხილე თემაზე:**Church acts on paedophile priests** // BBC
http://www.newsru.com/religy/12Sep2000/paedophilia.html

ინგლისის კათოლიკური ეკლესია შეშფოთებულია პედოფილიის პრობლემით. 1995-1999 წლებში ინგლისსა და უელსში მომსახურე 21 კათოლიკე მღვდელი გაასამართლეს არასრულწლოვანებზე სექსუალური ძალადობისათვის. ხმაურიანი სკანდალი მოჰყვა იმ ფაქტს, რომ ინგლისისა და უელსის პრიმასმა, არქიეპისკოპოსმა კორმაკ მერფი ო'კონორმა, სამრეკლოში მსახურებისათვის დანიშნა კლირიკი, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა მისი გარყვნილებისკენ მიდრეკილებანი. შემდგომში ამ კლირიკს პატიმრობა მიუსაჯეს მცირეწლოვანი ბიჭების გარყვნისათვის. http://www.religio.ru/news/1045_print.html

ირლანდიაში დასრულდა გამოძიება, რომელიც 9 წელი გრძელდებოდა, იუწყება „Associated Press”-ი. უმაღლესმა მოსამართლემ, შონ რაიანმა განაცხადა ირლანდიის კომისიის მიერ წარმოდგენილ 2600-გვერდიან

მოხსენებაზე. ირლანდიის კომისიამ გაავრცელა ცნობა კათოლიკურ ტაძარში პედოფილიის მრავალ შემთხვევასთან დაკავშირებით, მაგრამ არცერთი დამნაშავე დასჯილი არ არის. თითქმის ათი წელია, ირლანდიაში დამოუკიდებელი კომისია იკვლევდა პედოფილიის შემთხვევებს ირლანდიის კათოლიკურ ეკლესიაში. როგორც კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული, ათწლეულების მანძილზე 800-ზე მეტი კათოლიკე მღვდელმსახური, მონაზონი კაცები (ბერები - ავტ.) და ქალები, მასწავლებლები რეგულარულად ახდენდნენ სექსუალურ ძალადობას კათოლიკურ ბავშვთა სახლებისა და სკოლების აღსაზრდელ მოზარდებზე. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული

საბავშვო დაწესებულებები ***„საიდუმლო და დახურული იყო გარეშე თვალისათვის და მათში შიში მეფობდა.“*** მოხსენებაში ნათქვამია, რომ გახრწნა და გაუპატიურება „ენდემურ ხასიათს“ ატარებდა ვაჟთა სკოლებში, განსაკუთრებით იმათში, რომლებიც კაცთა მონასტრებთან არსებობდნენ. გოგონები, რომლებიც მონაზონ ქალთა მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდნენ, ნაკლებად ხდებოდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მაგრამ მათ უფრო ხშირად ცემდნენ და ამცირებდნენ. ***„ზოგიერთ სკოლაში შემოღებული იყო რიტუალური ცემა. გოგონებს ცემდნენ განსაკუთრებული საშუალებებით, რომლებითაც აყენებდნენ მაქსიმალურ ტკივილს, ურტყამდნენ მთელ სხეულზე,“*** - ნათქვამია მოხსენებაში.

ექსპერტებმა აღმოაჩინეს, რომ მონაზვნებს და მღვდლებს გამუდმებით შიშის ქვეშ ჰყავდათ ბავშვები და წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდნენ მათ ცემაზე, გაუპატიურებასა და დამცირებაზე. ეს სკოლები დიდი ხანია საკონცენტრაციო ბანაკებს დაემსგავსნენ. „რიტუალურ“ ცემას მიესალმებოდა კიდეც ხელმძღვანელობა, ხოლო პედოფილები ყოველთვის იცილებდნენ პასუხისმგებლობას. გამოძიების დროს გამოაშკარავდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში რელიგიური კონგრეგაციის წევრები მალავდნენ დანაშაულის კვალს და იფარავდნენ დამნაშავეებს. ხანდახან საქმე იმით მთავრდებოდა, რომ დამნაშავე გადაჰყავდათ სხვა დაწესებულებაში, სადაც ისინი აგრძელებდნენ ბავშვებზე თავდასხმებს. მაგალითად, ერთ-ერთი პედოფილი

ბერი ძალადობისათვის, მართალია, გააძევეს რელიგიური ძმობიდან, მაგრამ მას ნება დართეს, კიდევ 40 წლის განმავლობაში ესწავლებინა ბავშვებისათვის კათოლიკურ თავშესაფარში. ის ატერორებდა და აუპატიურებდა ბავშვებს ექვს სხვადასხვა სკოლაში, ვიდრე 1980 წელს არ გაასამართლეს მრავალრიცხოვანი სექსუალური დანაშაულისათვის. მეორე შემთხვევაში ბერი, რომელიც ძალადობდა ბავშვებზე ინგლისში, გადაიყვანეს ირლანდიაში, სადაც მან მიიღო მასწავლებლის თანამდებობა სკოლაში, რომელსაც საზოგადოება „მოწყალების ძმების“ წევრი ბერები მართავდნენ. მოგვიანებით მან აღიარა ბევრი ბიჭის გაუპატიურების მრავალი ფაქტი.

ყველაზე ველური შემთხვევები ხდებოდა ბავშვთა სახლებში, რომლის სათავეში ბერთა საზოგადოება „ქრისტიანი ძმების“ წევრები იდგნენ. ისინი ხელმძღვანელობდნენ სკოლებისა და თავშესაფარების ყველაზე ფართო ქსელს. კალვეას ბავშვთა სახლში, რომელიც 1885 წელს გაიხსნა, სექსუალური ძალადობები ყოველდღიურობად იქცა. ფიზიკური დასჯა – მოზრდილების ჟინის მიხედვითა და ძალიან მკაცრი – მუდმივად გამოიყენებოდა. ორმა აღმზრდელმა, რომლებიც განსაკუთრებული მონდომებით ძალადობდნენ ბავშვებზე, იქ 14 წელი იმსახურა.

ძალადობის ფაქტები აღმოაჩინეს სკოლებში, რომლებსაც მონაზვნური ერთობა „მოწყალების დები“ მეურვეობდა. ეს კონგრეგაცია მართავდა გოგონათა 26 სკოლას, მათ შორის ერთს დუბლინში. ამ სისტემის მსხვერპლნი დიდი ხანია ითხოვდნენ ამ დაწესებულებების შესახებ სიმართლის გამოაშკარავებას, რათა ირლანდიელი ბავშვები მომავალში აღარასოდეს მოხვედრილიყვნენ მსგავს პირობებში. მაგრამ რელიგიური ორდენების ლიდერთა უმრავლესობა უარყოფდა დაზარალებულთა ჩვენებებს, მათ სიცრუედ და გადაჭარბებად აცხადებდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენების უარყოფა არ ხერხდებოდა, მათ პასუხისმგებლობა გარდაცვლილებზე გადაჰქონდათ.

პედოფილი პადრე

5 ტომისაგან შემდგარი მოხსენება, რომელიც დაზარალებულთა ჩვენებებით იყო გამყარებული, ადასტურებს, რომ კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობა, იცავდა რა შიდა საქმეების დამალვის წესს, თავის რიგებში ყოველთვის იფარავდა პედოფილებს. კომისიის განცხადებით, ჩვენებები ჯერ ისევ ტრამვირებული ქალებისა და კაცებისა, რომლებიც წარსულში ძალადობის მსხვერპლნი შეიქნენ, აჩვენებს, რომ ბავშვებს ეპყრობოდნენ როგორც პატიმრებსა და მონებს.

კომისიის მოხსენებაში მოწოდებაა, აღმართონ ძალადობის მსხვერპლთა მემორიალი. მოხსენება ასევე ადანაშაულებს ირლანდიის ხელისუფლებას, რომელმაც კათოლიკური ეკლესიის მფარველობის ქვეშ 35 ათასი ბავშვი დატოვა. თავის მხრივ, ირლანდიის პერეზიდენტმა, მერი მეკელისმა, მოითხოვა სამართლებრივი დევნა კათოლიკურ ორდენ „ქრისტიანი ძმებისა“, რომლის ბერებიც გახვეულნი არიან პედოფილურ სკანდალებში. ორდენის ხელმძღვანელობა დათანხმდა, გაზარდოს დაზარალებულთათვის კომპენსაციის თანხა, მაგრამ საზოგადოება „ქრისტიანი ძმების“ გასამართლებას მოითხოვს.

პედოფილი პადრე

კომისიამ დეტალური ცნობები დააფიქსირა იმ მოწმეთა ჩვენებებიდან, რომლებიც ჩიოდნენ ბოროტებასა და სექსუალურ ძალადობაზე, რომლებიც 216 სკოლასა და თავშესაფარში მოხდა. სახელმწიფო პროგრამით 12,5 ათასმა ადამიანმა მიიღო კომპენსაცია, რომელმაც ჯამში 1 მილიარდი ევრო შეადგინა. გამოძიების შედეგად არავინ არ გასამართლდება, ხოლო დამნაშევეთა გვარები არ დასახელდა. 2004 წელს „ქრისტიანი ძმების“ საზოგადოებამ თავისთვის სასურველ სასამართლო გადაწყვეტილებას მიაღწია.

ამგვარად, მოხსენებას არ გამოიყენებენ კრიმინალურ გამოძიებითა დაწყების საფუძვლად, ძირითადად იმიტომ, რომ მასში არ არის დასახელებული დამნაშევე სასულიერო პირებისა და დაზარალებული ბავშვების სახელები. ირლანდიის კათოლიკური ეკლესიის ლიდერებმა კომისიის მოხსენების

კომენტირებაზე უარი განაცხადეს. კომენტარების გაკეთებაზე ასევე უარი თქვა ვატიკანმა.

საზოგადოებრივი ჯგუფის – „ირლანდიელი ბავშვები – ცემისა და გაუპატიურების მსხვერპლნი“ – წევრმა, ჯონ უოლშმა, რომელიც წარსულში თვითონ იყო ძალადობის მსხვერპლი, თქვა: ***„მე განრისხებული ვარ. მე დამწუხრებული ვარ და თავს მოტყუებულად ვგრძნობ... მსხვერპლთა დიდი ნაწილიც ჩამოუშვებს ხელებს, როცა გაიგებს, რომ არავის არ მიიყვანენ სასამართლოში. ეს იმას ნიშნავს, რომ არავინ არაფრისთვის პასუხს არ აგებს“.***

http://www.sokrsokr.net/cgi-bin/yabb2/YaBB.pl?num№1242935917□1□
http://www.infox.ru/accident/crime/2009/05/20/V_irlandskih_katolic.phtml
http://ru.euronews.net/2009/05/29/mcalesse-says-abuse-perpetrators-should-face-prosecution/

Only the Devil: The story of Fr Brendan Smyth

მხოლოდ ეშმაკი: ისტორია ფრ. ბრენდან სმიტის შესახებ

ფრ. ბრენდან სმიტის სახე, რომელიც იყურება კამერის ობიექტივში, პედოფილი მღვდლის ყველაზე ცნობილი და ყველაზე შემაძრწუნებელი სურათია, – ასე წერდნენ საინფორმაციო საშუალებები. 1994 წელს ბელფასტის სასამართლომ იგი დაადანაშაულა 17 სექსუალურ ძალადობაში. ეს იყო შემთხვევა, რომელმაც შეძრა ირლანდია. სამი წლის შემდეგ

პედოფილი პადრე

დუბლინში ფრ. ბრენდან სმიტმა დანაშაული კიდევ 74 ბავშვზე სექსუალურ ძალადობაში აღიარა. „მხოლოდ ეშმაკი“ ჰყვება საზარელ ისტორიას ფრ. ბრენდან სმიტის შესახებ. მისმა უფროსებმა კათოლიკურ ეკლესიაში ჯერ კიდევ 1940 წელს იცოდნენ, რომ ის ბავშვებზე მოძალადე იყო. ტელეპროგრამაში გაიხსენეს, თუ როგორ გაამართლეს იგი თავის კავანის სააბატოში, მიუხედავად იმისა, რომ მის თავს ითხოვდა ოლსტერის სამეფო პოლიცია. სმიტი 1997 წელს ციხეში გარდაიცვალა.

http://www.rte.ie/tv/cannal/BrendanSmyth.html

* * *

ასევე, BBC-ის ცნობით, 2008 წლის ივლისში, ავსტრალიაში თავისი ვიზიტის დროს, ბენედიქტ XVI-მ დიდი ბოდიში მოიხადა კათოლიკე მღვდლების მხრიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობის გამო. სიდნეიში, სამღვდელოების წინაშე გამოსვლისას, მან აღნიშნა ***„იმ სირცხვილის შესახებ, რომელსაც ჩვენ*** (იგულისხმება რომის ეკლესია-ავტ.) ***ყველანი განვიცდით.“*** კათოლიკე მღვდლების მსხვერპლთა უფლებების დაცვის მოძრაობის წევრები

პლაკატზე წერია: „ბოდიშს კანონი

უკმაყოფილონი დარჩნენ რომის პაპის გამოსვლით და პირადად მისგან მოითხოვეს ბოდიშის მოხდა. ავსტრალიაში კათოლიკე მღვდლების მხრიდან სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით 107 ბრალდებაა წარდგენილი, მაგრამ მოძრაობის წევრების მტკიცებით, რეალურად ძალადობათა რიცხვი ათასია.
http://top.rbc.ru/society/19/07/2008/204394.shtml

* * *

ავსტრიაში სექსუალური ძალადობისა და გარყვნილების საფუძველზე 2004 წელს დაიხურა კათოლიკური სასულიერო სემინარია. (http://korrespondent.net/ 2009 წ.).

* * *

ახლა, როგორც ზემოთ შეგპირდით, გთავაზობთ მასალას ჩვენი ერთ-ერთი მიმართვიდან საზოგადოებისადმი.

სექსუალური დანაშაულობანი და ვატიკანი
Sex Crimes and the Vaticav (BBC)

საქართველოში ვატიკანის სულიერი აგრესია, რომელიც საუკუნის წინ დაიწყო, დღესაც გრძელდება. სულით ინკვიზიტორული პაპისტთა საკრებულო საქართველოს „გაკათოლიკებას“ სიფრთხილით, მაგრამ დაჟინებით ცდილობს. მეთოდებიც საუკუნეების წინაა შემუშავებული. მოგვყავს ამონარიდები ილია ტაბაღუას წიგნიდან **„საქართველო ევროპის**

არქივებსა და წიგნსაცავებში“ (ტ2, გვ.210-217), რომელიც მთლიანად ეყრდნობა მისიონერთა ვატიკანში დაცულ ხელნაწერებს: **„1626 წელს ვატიკანში შეადგინეს სპეციალური ინსტრუქცია საქართველოში მისიონერების მუშაობის შესახებ. მისიონერებს უნდა ეფიქრათ, თუ როგორ გაევრცელებინათ და დაეცვათ კათოლიკური ეკლესიის დოგმები. აქ ნათქვამი იყო სულიერ პრივილეგიებზე და ინდულგენციებზე, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ მისიონერებს პირადი შეხედულებების მიხედვით. მისიონერები მოამარაგეს ბავშვების მოსანათლავად საჭირო ნივთებით. ინსტრუქციის მე-3 პუნქტში ნათქვამი იყო: *„აქართველოში საქმის წარმატება დამოკიდებულია საქართველოს მხარეების მთავრებზე“*. მე-4 პუნქტში ლაპარაკია საჩუქრების მირთმევის აუცილებლობაზე. *„პიროვნება, რომელიც წარსდგება მეფის ან მთავრის წინაშე, განსაკუთრებით პირველი შეხვედრის დროს, არ უნდა მივიდეს მასთან ხელცარიელი. უნდა მიართვას რაიმე საჩუქარი, თუნდაც რაიმე სამკაული, რათა კიდევ უფრო განაწყონ ისინი თავიანთ სასარგებლოდ.“* მე-12 პუნქტში ლაპარაკია საჩუქრებზე, რომლებიც სპეციალურად უნდა შეერჩიათ მისიონერებს საქართველოში წასაღებად. ვატიკანის ერთ-ერთი მიზანი იყო, მისიონერებს ყურადღება მიექციათ რომის ეკლესიასთან ქართული ეკლესიის გაერთიანების საკითხისათვის. მისიონერებს ევალებოდათ ფრთხილად ყოფილიყვნენ საქართველოში სარწმუნოებაში ქართველთა *„დაბნეულობის“* საკითხის მიმართ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა ცდილიყვნენ, რომ ქართველებს უარი ეთქვათ თავიანთ რიტუალებზე, არამედ დაერწმუნებინათ ქართველები, რომ პაპს *„უყვარს და მოსწონს ბერძნული* (ანუ მართლმადიდებლური — ავტ.) *რიტუალი“* (მორიგი ტყუილი. სინამდვილეში სძულს - ავტ.). მისიონერებს ვატიკანისათვის უნდა ეცნობებინათ ქვეყანაში არსებული ვითარება და საჭირო ღონისძიებათა რეკომენდაცია. უნდა მოენათლათ ბავშვები, რაც შეიძლებოდა მეტი რაოდენობით. ესწავლებინათ ბავშვებისათვის ლათინური ენა, რათა შემდგომში**

მათგან შეერჩიათ ისეთები, რომლებიც შეძლებდნენ სწავლის გაგრძელებას საერთოდ და კერძოდ – რომში.“

ქრთამის გარდა, მისიონერები თავიანთი მწვალებლური სარწმუნოების გასავრცელებლად თაღლითობასაც არ ერიდებოდნენ. მისიონერთა წერილებიდან ი. ტაბაღუას მოყვანილი აქვს ცნობა, როგორ ნათლავდნენ ისინი ქართველებს მოტყუებით. კერძოდ, მისიონერები, ვითომ ექიმები, თითქოს მკურნალობის პროცედურას უტარებდნენ ავადმყოფებს, თავზე წყალს ასხამდნენ და თვალთმაქცურად აღასრულებდნენ „ნათლობის“ რიტუალს. ვატიკანში გამოგზავნილ წერილებში იმასაც დასძენდნენ, ალბათ ღმერთი იცინის ჩვენს ამგვარ საქციელზეო. მეტი თაღლითობა წარმოუდგენელია.

საყურადღებოა, რომ ვატიკანის ემისრები დღესაც 3 საუკუნის წინანდელი მეთოდებით მოქმედებენ. მაგალითად, ამბობენ, რომ ჩვენ, კათოლიკები და მართლმადიდებლები, ერთნი ვართ, რომ ჩვენ ერთი სარწმუნოება გვაქვს, რომ, პაპ იოანე პავლე II-ის სიტყვებით, კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა ერთი სხეულის ორი ფილტვია. ამ დროს დღევანდელი პაპი, ბენდიქტ XVI, თავის მიერ გამოცემულ ენციკლიკაში წერს, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება კათოლიციზმია. მაშ, ამ ორ „უცდომელ“ პაპთაგან რომელი

ცდება? აი, როგორი ფიქციაა კათოლიციზმის მწვალებლური დოგმატი პაპის უცდომელობის შესახებ. ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ამ ორთაგან ორივე ცდება, რომ კათოლიციზმს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან, კათოლიკობასთან – ანუ საყოველთაობასთან, რომ სინამდვილეში ის არის პაპიზმი, რადგან ეკლესიის თავად ქრისტეს ნაცვლად პაპი დაადგინა, რომელიც შემდგომ უცდომელობის დოგმატით აღჭურვა.

21-ე საუკუნის ნეომისიონერები იმაშიც ბაძავენ თავიანთ წინამორბედებს, რომ სიფრთხილეს იჩენენ და ჯერჯერობით არ ამკვიდრებენ მათი ყოფის ისეთ უზნეო და ჩვენთვის მიუღებელ ცხოვრების წესს, როგორიცაა ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილებს შორის ქორწინება. მგელმაც კი იცის უახლოესი

ნათესავი და მასთან არ ქორწინდება, მადლს მოკლებულ პაპისტებს კი მრუშული მზერა უჭირავთ თავიანთ უახლოეს ნათესავებზე. აღარაფერს ვამბობთ ისეთ გადაგვარებაზე, როგორიცაა ცხოველების ნათლობა, ჰომოსექსუალი ან ქალი მღვდელი (ეს უკანასკნელი ჯერჯერობით საყოველთაოდ არ არის გავრცელებული პაპისტურ ეკლესიაში, მაგრამ მიღებულია ან ამაზე საუბრობენ რომის იურისდიქციაში მყოფ მთელ რიგ ადგილობრივ „ეკლესიებში“), და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პაპების მიერ 9 საუკუნის წინ დაკანონებული ისეთი მოვლენა, როგორიცაა ცელიბატი (მღვდლების უქორწინებლობა). ამან ხელი შეუწყო ისეთ უბოროტეს მოვლენას, როგორიცაა პედოფილიის ტოტალური გავრცელება პაპისტ სამღვდელოებას შორის. იტალიაში გამოვიდა ტელეკომპანია BBC-ის დოკუმენტური ფილმი „Sex Crimes and the Vatican“ („სექსუალური დანაშაულობანი და ვატიკანი“). 2002 წელს გაზეთმა „Boston Sunday Globs“-მა გამოაქვეყნა მამხილებელი მასალების სერია პედოფილი პადრეების შესახებ. ამის შემდეგ აშშ-ს ძრავდა თითქმის ყოველდღიური წერილები პადრეების პედოფილური ძალადობების შესახებ.

1950-2002 წლებში აშშ-ში 10,6 ათასმა ადამიანმა შეიტანა სარჩელი 4,3 ათასი კათოლიკე მღვდლის წინააღმდეგ, რომლებიც პედოფილიაში დაადანაშაულეს. ამერიკელი ადვოკატები ასაბუთებენ, რომ რეალურად დაზარალებულთა და პედოფილ პადრეთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ამერიკელი კოლეგების მონაცემებით აშშ-ში, როგორც მინიმუმ, ყოველი მე-8 კათოლიკე მღვდელი პედოფილია. 2008 წლისათვის ანაფორიან კათოლიკეთა ათასობით მსხვერპლისათვის კათოლიკურმა ეკლესიამ კომპენსაციის სახით 3 მილიარდ დოლარამდე გადაიხადა.

2008 წლის აპრილში პაპი ბენედიქტ XVI ვაშინგტონში შეხვდა იმ ამერიკელებს, რომლებიც ბავშვობის წლებში კათოლიკე პედოფილი მღვდლების სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი შეიქნენ. 2002 წელს ტელეკომპანია ABC-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, აშშ-ში კათოლიკეთა 71% თავიანთ სამღვდელოებაში გავრცელებულ პედოფილიის პრობლემას „ეკლესიის კრიზისად“ მიიჩნევს. კათოლიკური ეკლესიით უკმაყოფილოთა რიცხვი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ეს იყო რეაქცია მღვდელ პედოფილებთან დაკავშირებულ სკანდალებსა და უმოქმედობაზე კათოლიკური ეკლესიის ხელისუფალთა მხრიდან, რომლებიც იფარავენ მღვდელ პედოფილებს, ხელმძღვანელობენ რა ვატიკანის ინსტრუქციით, რომელიც მათ „ქოხიდან

ნაგვის გატანას“ უკრძალავს, ამიტომაც აივსო კათოლიკური „ეკლესია“ ისეთი უბილწესი ნაგვით, როგორიცაა პედოფილია.

აშშ-ს მსგავსი სიტუაციაა სხვა ქვეყნებში. იქნებ საქართველოა გამონაკლისი? ნურას უკაცრავად. საქართველოში მყოფ ერთ მუჭა პადრეებს შორის ზოგიერთის უზნეობის შესახებ ბევრს საუბრობენ. აღვნიშნავთ ერთ-ერთი მათგანის, პადრე არტურ გარბეცკის, დიდად გახმაურებულ სკანდალს: სოფელ არალში „მოღვაწეობის“ დროს იგი ბავშვებს უტარებდა კოცნის კონკურსს. გაიმარჯვებდა ის, ვინც სხვაზე მხურვალედ აკოცებდა მას. ასევე, იგი გოგო-ბიჭებს საცურაო აუზში ცურვას ასწავლიდა. ხელების ფათურზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ერთ-ერთი ასეთი ვარჯიშის დროს მან აუზში თავისი ტრუსები (?!) დაკარგა და ბავშვებს უთხრა, რომ თუ არ უპოვნიდნენ ტრუსებს, 100 ლარს გადაახდევინებდა. პადრე გარბეცკის უზნეობის გამო ატეხილი სკანდალის შემდეგ იგი სასწრაფოდ მოაშორეს სოფელ არალს.

იკითხავთ: კი მაგრამ, რატომ არ აუქმებენ პაპისტები ცელიბატის ინსტიტუტს? რომ გააუქმონ, მაშინ სადღა იქნება პაპების „უცდომელობა“? ერთხელ ხომ უკვე მოუხადა ბოდიში რომის „ეკლესიამ“ კაცობრიობას ინკვიზიციის, პაპის სახელით ცეცხლში დამწვარი ათიათასობით ადამიანის გამო. ის რა „ეკლესიაა“, რომელიც საბოდიშოდ იხდის საქმეს? ვატიკანს საგანგებო ბოდიში აქვს მოსახდელი მართლმადიდებლებისათვის, იმტომ რომ ხოცავდა მათ ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდა. სულ ახლახან, ათიოდე წლის წინ, პოლონეთში კათოლიკებმა მართლმადიდებელი ბერები დახოცეს და მათი მონასტრები დაარბიეს. გერმანელ ფაშისტთა საკონცენტრაციო ბანაკებში კათოლიკე-უსტაშები ისეთი სისასტიკით ხოცავდნენ მართლმადიდებლებს, რომ ფაშისტებიც კი განცვიფერებულები იყვნენ. უკრაინის ოკუპაციის დროს მხოლოდ კათოლიკურ-უნიატური „ეკლესია“ თანამშრომლობდა ფაშისტებთან. ვაშინგტონელი ადვოკატი ჯონათან ლევი საკონცენტრაციო ბანაკის ტუსაღების ინტერესებს იცავს, რომლებიც მრავალ მხარეს, მათ შორის ვატიკანს, ადანაშაულებენ.

მოვუწოდებთ ყველა მშობელს, მოარიდეთ შვილები პაპისტ პადრეებს, რომელთა გრყვნილებისა და პედოფილიისკენ მიდრეკილების გამო მთელი მსოფლიო შეძრწუნებულია. დაიცავით პადრეებისაგან შვილები, რათა სულიერად არ წარწყმიდონ, ზნეობრივად არ გარყვნან ისინი, პატივი არ აჰყარონ მათ.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

* * *

2002 წელს ტელეკომპანია ABC-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვით, აშშ-ში კათოლიკეთა 71% კათოლიკე სამღვდელოების პედოფილიის პრობლემას ,,ეკლესიის კრიზისად" მიიჩნევს. გამოკითხულთა 36% აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ კათოლიკე ეკლესიის ხელმძღვანელობა არაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

* * *

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მღვდლად გახდომის მსურველთა რიცხვი კათოლიკურ ეკლესიაში 18 ათასიდან 3,5 ათასამდე დავიდა.

* * *

აშშ-ში ჩატარებულმა საზოგადოებრივმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამერიკელი კათოლიკები არ ენდობიან საეკლესიო იერარქებს. მაგალითად, სამსახურ Gallup-ის გამოკითხვამ შემდეგი შედეგები აჩვენა: კათოლიკეთა 72% თვლის, რომ კათოლიკე იერარქები ძალიან ცოტას აკეთებენ იმისათვის, რომ მომავალში თავიდან აიცილონ მსგავსი დანაშაულობანი. 74%-მა განაცხადა, რომ ეკლესია დაინტერესებულია, უპირველეს ყოვლისა, თავისი რეპუტაციის დაცვით და არა – სიმართლის გარკვევით.

* * *

მამა ტომ დოილი, კანონთმცოდნე:
ვატიკანს არ გააჩნია ბავშვების დაცვის არანაირი პოლიტიკა. მათ მხოლოდ დამნაშავეთა დაცვის, ვატიკანის დაცვის, ფაქტების მიჩქმალვის, შეძლებისდაგვარად გასაიდუმლოების და ორგანიზაციისათვის მრავალი ზიანის შეძლებისდაგვარად არიდების პოლიტიკა აქვს. ანუ, ზიანის კონტროლირების პოლიტიკა.

* * *

ბავშვობაში პადრეს (კათოლიკე მღვდელი) მიერ გაუპატიურებული ეიდენ დოილი BBC–ის ფილმში Sex Crimes and the Vatican (სექსუალური კრიმინალი და ვატიკანი) ყვება, თუ როგორ გააჩუმა იგი გაუპატიურების შემდეგ პადრემ სიტყვებით: ,,მე შენ დაგადებ აღსარების ბეჭედს, რომ აღარასოდეს დაძრა სიტყვა ამის შესახებ და ეს საიდუმლოდ დარჩება."

* * *

ცინცინატის (ოჰაიოს შტატი) ფედერალურმა სამხარეო სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ დაიწყოს სასამართლო გარჩევები ვატიკანის წინააღმდეგ. ბავშვთა გახრწნის საქმეების მიმართ დაუდევრობის გამოჩენის გამო, მოსამართლე ჯულია სმიტ გიბონსმა ვატიკანი პასუხისმგებელ მხარედ მიიჩნია.